


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 41 სექტემბერი 29 1896 წ. № 41

შინაარსი: ხელმწიფე იმპერატორის და მისი მეუღლის მოგზაურობა ევროპაში.—სხვა-და-სხვა ამბავი.—† მღვიმის დედათ მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ელენე, ნეკროლოგი—„კვალის“ კორესპონდენციები.—სიმღერა, ლექსი ვაჟა-ფშაველასი.—უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში (შემდეგი) სამზღვარ-გარეთელისა.—კრიმინალური ანთროპოლოგია (შემდეგი) გ. ბადრიძ-სა.—ექსპრომტი, ლექსი რუს-იმერლისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—მცირე შენიშვნა ვაჟა-ფშაველასი.—კარცერი და ტუკჭორა, ძველის ძველი ამბავი (დასასრული) პ. გოთუასი.—შენიშვნა დუტუ მეგრელისა.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებანი.—

## ხელმწიფე იმპერატორის და მისი მეუღლის მოგზაურობა ევროპაში.

ამ დროის უდიდეს საპოლიტიკო ამბავს შეადგენს ახალ გვირგვინ-ნაკურთხის ხელმწიფე იმპერატორის მოგზაურობა თავის მეუღლითურთ ევროპის სახელმწიფოებში. ამ მოგზაურობის საგნათ პირველ ის იყო, რომ ბედნიერ დღეებს შემდეგ ხელმწიფე იმპერატორს სურდა, ენახა თავისი ნათესაობა ევროპაში. ყოველმა ჩვენთაგანმა უწყის, რომ რუსეთის ხელმწიფის სახლობა ძალიან ახლო ნათესავია გერმანიის იმპერატორისა, რომელიც ბიძაშვილის-შვილათ მოხვდება ჩვენს ხელმწიფეს, აგრეთვე ინგლისის კოროლევის ვიქტორიისა, რომლის რძალია მამიდა ხელმწიფე-იმპერატორისა; ხოლო იმპერატრიცა შვილი-შვილია. ავსტრიის სახელმწიფო სახლიც, რასაკვირველია, ენათესავება რუსეთის საიმპერატორო სახლს; მაგრამ რაკი ნათესავების ნახვა განიზრახა ნიკოლოოზ მეორემ, შეუძლებელი იყო, რომ რუსეთის მოკავშირე საფრანგეთიც არ ენახა და მის პრეზიდენტს არ წვეოდა. ამ მოგზაურობას მიუცილებლათ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება, რადგან ახალგაზდა რუსეთის იმპერატორი პირის-პირ მოლაპარაკებით უფრო დაუახლოვდება უცხოეთის ხელმწიფეებს და იმათ გულის ნადებს უფრო ზედ-მიწევნით გაიცნობს. საფრანგეთის რესპუბლიკისა და მისი შინაგანი საუცხოვო დაწყობილების შინაურულათ გაცნობა მიუცილებლათ კარგ გავლენას მოახდენს ახალგაზდა ხელმწიფეზე, რომელიც გულ-ლმობიერებით განირჩევა და ჰსურს თავისი ერის გაბედნიერება. ამ მოგზაურობას შემდეგ რუსეთი უნდა მოელოდეს ბევრს საკეთილ-დღეო ცვლილებებს და საერთაშორისო პოლიტიკაზედაც ექნება შესაფერი გავლენა. დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის იმპერატორი უფრო გულდანდობით შეხედავს ინგლისის პირდაპირ მოქმედებას აღმოსავლეთის პოლიტიკაში და უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის შუამდგომლობით საფრანგეთი და ინგლისი უფრო თანხმობით იმოქმედებენ აღმოსავლეთში. საფრანგეთი ისეთი აღტაცებით მიეგებება რუსეთის მეფე-დედოფლის მობძანებას, რომ

ამისთანა ჯერ არა ნახულა რა. ამისთვის ვეცდებით დაწვრილებით ავწეროთ ეს ამბები:

ინგლისიდან ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა გაემგზავრენ ზღვით საფრანგეთს. ისინი უნდა გასულიყვნენ საფრანგეთის მიწაზე სახელ-განთქმული შერბურგის ნავ-სადგურთან, რომელიც იტევს თვის-შორის მთელი საფრანგეთის გემებს. ხელმწიფე იმპერატორი თავის მეუღლით და ამალით მოგზაურობს საიმპერატორო ცეცხლის გემით, რომელსაც სახელათ „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ ქვია (**Полярная звѣзда**). სამ საათზე „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ საფრანგეთის გემებით გარემოცული, რომლიდანაც ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა მიადგა შერბურგის პორტს; მეფე-დედოფალი გადმობძანდენ გემიდან სადღესასწაულო აივანზე, სადაც მათ მიეგებენ: საფრანგეთის პრეზიდენტი თავისი მინისტრებით თურთ და რუსეთის საელჩოს წარმომადგენელნი. ხელმწიფე მეხომალდეთა სადღესასწაულო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და მხარ-თეძოზე ეკიდა ორდენი „საპატიო ლეგიონისა“; რესპუბლიკის პრეზიდენტს კი ანდრია პირველ წოდებულის ორდენი ეკიდა. მან უამბორა ხელზე დედოფალს, მიულოცა მობძანება საფრანგეთში და მკლავ-გაყრილი წაუძღვა ელექტრონით განათებულს დარბაზში. აქ ცოტა მოისვენეს. შემდეგ დაბრუნდენ უკან ისევ „ჩრდილოეთის ვარსკვლავზე“ და აქედან გადასხდენ საშიკრიკო ცეცხლის გემზე, რომელსაც ფრანციულათ „ელანი“ ქვია, ესე იგი „აღტაცება“. ამ გემზე აუშვეს ხელმწიფე იმპერატორის და პრეზიდენტის დროშები. შემდეგ მეფე-დედოფალმა პრეზიდენტის თან გაყოლით და მათი ამალით მოიხილეს საფრანგეთის ფლოტი. იყო ერთი აურ-ზაური, მეზღვეთა „ურას“ ძახილი, ზარბაზნების გრიალი, მუსიკის კვრა. უკრავდენ რუსულს ჰიმნს „ღმერთო დაიცვე მეფე“ და ფრანციულს პატრიოტულ სიმღერას „მარსელიეზას“.

საღამოს შერბურგის დარბაზში, რომელიც ყოველნაირი სამხედრო იარაღებით იყო მორთული, გამართეს მეფე-დედოფლისათვის სადილი. ხელმწიფის უკან კედელზე ეკიდა შესანიშნავი ძველი ხმალი კარლოს დიდისა, მერვე საუკუნიდან აქამომდე შენახული.

საფრანგეთის პრეზიდენტმა აავსო სავსე ჰიქის კათხა და წარმოთქვა: „მე ბედნიერათ ვრაცხ ჩემთავს, რომ თქვენმა დიდებულებამ ირჩია ზღვით მობძანება და გადმოხტა ხმელეთზე ჩვენი დიდი ნავსადგურით შერბურგით. საფრანგეთის ფლოტი, რომელიც კარგათ იცნობდა თქვენს უავგუსტესს მშობელს, ამაყობს მითი, რომ ამალათ გეახლათ და დიდი მადლობელია, რომ პატივი ეცით და დახედეთ. ხვალ პარიჟში თქვენ იგრძნობთ საფრანგეთის ერის გულისცემას. ბედნიერი ვარ, რომ მე შემხვდა თქვენი მოლოცვა და ვსვამ თქვენი დიდებულებისა და დედოფლის სადღეგძელოს“.

ხელმწიფე იმპერატორმა მაგიერათ უპასუხა: „ჩემთვის საგრძნობელია შერბურგის ასეთი სასიამოვნო დახვედრა. ბევრი სიამოვნება გამოვცადე, როცა საფრანგეთის ესკადრა თან მომყვებოდა, განსაკუთრებით მიხაროდა საადმირალო გემის „ჰოშის“ ნახვა, რომელიც მახლდა საფრანგეთის მიწაზე გადმოსვლის დროს. მე თანაგრძნობით ვსვამ, ბატონო პრეზიდენტო, საფრანგეთის ერის, მისი ფლოტის და მხნე მეზღვეთა დასის სადღეგრძელოს. მადლობას ვუძღვნი პრეზიდენტს რესპუბლიკისას, რომელმაც დალია ჩვენი სადღეგრძელო“. ამ სიტყვებზე ხელმწიფე იმპერატორმა პრეზიდენტის ჰიქას თავისი ჰიქა მიურაკუნა. მუსიკამ დაიგრიალა „მარსელეზა“. ყველანი ადგენ და ისე მოისმინეს ეს საერო სიმღერა: შემდეგ ჩასხდენ საიმპერატორო რკინის გზის მატარებელში და გაემგზავრენ პარიჟს. ჯარი იქით აქეთ ლობესავით იყო გაკრული. მთელი გზა პარიჟამდის საფრანგეთის ხალხი ყვიროდა: „ღმერთმა ადღეგრძელოს რუსეთის იმპერატორი და რუსეთიო“. პარიჟში რომ მეფე-დედოფალი მიბძანდა, ას ერთი ზარბაზანი დაცალეს. იქ ამ შემთხვევისთვის ცალკე დარბაზი ააგეს, სადაც ხელმწიფე იმპერატორს და მის მეუღლეს მთელი საფრანგეთის საერო და სასულიერო წარმომადგენლები მიეგებენ. ქალაქ პარიჟს ამ შემთხვევისათვის დიდძალი ხალხი მოაწყდა მაზრებიდან. იქ მცხოვრებლების რიცხვი გაორკეცდა. მეფე-დედოფლის მობრძანების დროს ხალხი ყველგან ზღვათ იდგა; მაგრამ მაინც საზოგადო წესიერება არ დარღვეულა. მეფე და დედოფალი რომ ეტლში ჩასხდენ, რუსის საელჩოში წასაბძანებლათ, ხალხმა „ურა“ იგრიალა. ნახევარ საათს შემდეგ მოვიდა მეფე-დედოფლის სანახავათ პრეზიდენტის ფორის ოჯახი, რომელიც დარჩა მათ დიდებულებასთან მეოთხედი საათი.

შემდეგ ხელმწიფე იმპერატორს მოართვეს სადღესასწაულო ეტლი რუსის ტაძარში წასასვლელათ. როცა იქიდან დაბრუნდა, მიიღო ყოფილი პრეზიდენტის კარნოს მეუღლე და შემდეგ მეფე-დედოფალი გაემგზავრენ პრეზიდენტის ფორის სანახავათ ელისეის სასახლეში. პრეზიდენტმა მიიღო ხელმწიფე იმპერატორი მისი მეუღლით წინა ოთახში. მას თან ახლდა სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურენი საფრანგეთისა. ხელმწიფე და ფორი ერთათ დარჩენ და ისაუბრეს მესამედ საათს, შემდეგ მან წარუდგინა ხელმწიფეს თავისი მინისტრები. ხელმწიფე გაემართა დიდ დარბაზში, სადაც იყვნენ შეკრებილნი ორასი სენატო-

რი და სამასი დეპუტატი. ხელმწიფემ თქვა: დიდათ მე ხარული ვარო, რომ ჩემგარშემო ვხედავ საფრანგეთის ერის წარმომადგენელთაო. აქედან ხელმწიფე გადავიდა ოქროს დარბაზში, სადაც მას დაუხვდა კარდინალი რიშარი სასულიერო წოდებითურთ. საღამოს მათი დიდებულება იყვნენ პრეზიდენტის სადილზე მიწვეულნი ელისეის სასახლეში. მთელი პარიჟი ისე განათლებული იყო, თითქოს ცეცხლის ბურთათ გადაქცეულაო. სენის მდინარეზე დაჰქროდენ განათებული გემები. ეიფელის კოშკი სულ ცეცხლში იყო. ყოველგან ისმოდა ხალხის გრიალი: „გაუმარჯოს რუსეთის მეფეს“, „გაუმარჯოს დედოფალს“.

სადილზე პრეზიდენტმა წარმოთქვა თანაგრძნობის სიტყვები, როდესაც ხელმწიფე იმპერატორის და იმპერატრიცის სადღეგრძელო დალია. ამაზე ხელმწიფე იმპერატორმა სხვათა შორის უპასუხა: „მე მოვედი საფრანგეთს, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სანახავათ, როგორც საფრანგეთის თავისა, რომელთანაც შეერთებული ვართ ძვირფასი კავშირით. ამ მეგობრობას შეუძლია მხოლოთ კეთილი გავლენა იქონიოს. მე თქვენ გთხოვთ, ბ-ნო პრეზიდენტო, გადასცეთ მთელ საფრანგეთს ეს ჩემი თანაგრძნობა. გმადლობთ პატივისცემისათვის, რომელიც თქვენ მოგვაგეთ იმპერატრიცას და მე. ვსვამ საფრანგეთის სადღეგრძელოს და მისი რესპუბლიკის პრეზიდენტისას“.

სადილს შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა წავიდენ შესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლათ. სადაც კი გაივლიდა ხელმწიფე იმპერატორის ეტლი, ყოველგან გრიალებდა ხალხი: „გაუმარჯოს რუსეთის მეფეს, გაუმარჯოს რუსეთის დედოფალს“.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

სემინარიელების საყურადღებოთ ვაცნობებთ, რომ ხარკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლა დამთავრებულ ანდრია ნაუმოვისთვის მიუციათ ნება შესვლისა უეკზამენოთ ფიზიკო-მატემატიკის ფაკულტეტზე ხარკოვის უნივერსიტეტში.

***

პენზენის გუბერნიის მემამულეს ლადიჟინსკის შეუტანია სამეურნეო სამინისტროში თხოვნა, რომ მის მამულში ნება-დართონ ქალებისთვის სამეურნეო სკოლის გახსნაზე. საჭიროა ამგვარი სკოლის გახსნა ჩვენში, საცა უკვე რვა წელიწადია ჩვენი ქალები ფაცა-ფუცობენ და ვინ იცის, როდის რა გვეღირსება.

***

ამ დღეებში გადაცვალებულს თ. კონ. ივ. მელიქიშვილს უანდერძებია ფული სტიპენდიის დასაარსებლათ თბილისის პირველ გიმნაზიისთვის, სადაც თურმე ოდესმე უსწავლია. ჩვენ ქართველობაში ძალიან იშვიათია ამგვარი გულუხვობა.

***

თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში წრეულს წინანდელზე უფრო იმატა მოსწავლეებმა. ახლა 500 მეტი მოსწავლეა. მეხუთე კლასიც გახსნეს.

***

ხშირათ მოსიარულებს ჭიათურის რკინის გზით უნდა ვახაროთ, რომ ზამთარში მაინც ეღირსებათ ვაგონები. ამბობენ, 20 ნოემბრისთვის იქნებაო მზათ ჩვეულებრივი დახურული ვაგონები. მაგრამ არც ვაგონები ააცდენენ იმ ხშირ შემთხვევებს, რომლებიც მოხდება ხოლმე ამ გზაზე.

***

შინაგან საქმეთა მინისტრს ცირკულიარით მოუთხოვია კავკასიის ყველა გუბერნატორებიდან და უფროსებიდან შემდეგი ცნობების შეკრება და სამინისტროში წარდგენა: 1) რუსეთის მოგზაურთა რიცხვის შესახებ, ვინც კი წასულა საზღვარ გარეთ 1888—1893 წლებში და 1895 წ., და იმათ რიცხვზე, ვინც იმავე ხნის განმავლობაში დაბრუნებულა უკან. 2) რამდენი უცხოელი შემოსულა საზღვარ-გარეთიდან 1888—1893 წლებში და 1895 წ., და რამდენი გაბრუნებულა ისევ საზღვარ-გარეთ იმავე ხნის განმავლობაში.

***

გურიიდან გვატყობინებენ: გურიაში მიწის-ძვრის ხსენებაც არ ყოფილა, მაგრამ მიწის ძვრა მოგონებათაც არა ღირს იმ უბედურებასთან, რომელიც მიაყენა გურულებს აღმოსავლეთის ქარმა ამ თვის 15, 16, 17 და 18 რიცხვებში; ამ განგრძლივმა ქარმა სულ ერთიანათ დალეწა ჭირნახული. ზარალის გამოანგარიშება ამ ჟამათ შეუძლებელია; შეგვიძლია ვთქვათ, მხოლოთ, რომ ისეთი მოსახლე არ დარჩენი-

ლა, რომ რამდენიმე თუმნის ზარალი არ მოსვლოდეს ამ ქარის გამო. მცხოვრებლებს ასეთი ქარი არ ახსოვთ.

***

ლეჩხუმიდან გვწერენ: სამ სეკტემბერს ლეჩხუმში რაღაც წარღვნის მგზავსი ამბავი მოხდა. აი, როგორ იყო ეს. ამ დღეს ჯერ კიდევ ნელი ქარი ჰქროდა, რომ უეცრათ წამოვიდა ცაზე შავი ღრუბელი, შეიქნა ელვა-ჭექა, გაძლიერდა ქარი, რომელსაც მოჰყვა სეტყვა გამოუთქმელი სიჩქარით, ასე რომ ეზოში მყოფმა სახლში ძლივს შევასწარით; მაგრამ სახლში შესულთაც გადაწყვეტილი გვქონდა სიცოცხლის იმედი. გარედან მოისმოდა ქარის შუილხუილი, რომელსაც ჰაერში მიჰქონდა სახლის სახურავები და ზოგს კიდევაც სულ დაუნგრია სახლი. ძირზე არ დარჩენილა მეოთხედი ნაწილი ხეებისა. აოხრა სანახევროთ სიმინდები და ჩამოყარა ძირს მკვახე ყურძენი და სხვ. ერთი სიტყვით, მცხოხრებლებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ადამიანის უმსხვერპლოთაც არ ჩაუვლია ამ ამბავს. ამ უბედური სეტყვის და ქარის დროს სოფ. მექვენაში მინაველან გზაზე ორი ქალ-ვაჟი, რომლებიც ქარს წაუქცევია და ხევში გადაუგდია, სადაც მეორე დღეს იპოვეს ისინი მკვდრები.

***

ახალი წიგნები: 1) ცოფით ავათმყოფობა. ეს ბროშურა შედგენილია ექიმი გ. ბადრიძისაგან (ღირს 3 კ. გვ. 16). ამგვარი წიგნაკები ჩვენთვის ძალიან სასარგებლოა და რაც უფრო მეტი გვექნება, ემჯობინება.

2) ნაპერწკალი. კრებული მოსწრებული სიტყვებისა. შეიცავს 80 გვერდს, ფასი 20 კაპ. სუფთათ არის გამოცემული. მართალია ზოგი ერთი ნაკვესი კარგი და გასართობია, მაგრამ მაინც ვერ მივხვდით, რათ ჰქვია ამ წიგნს „ნაპერწკალი“.

## †. მღვიმის დედათ მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ელენე (იგივე ელისაბედი).

(ნეკროლოგი).

სექტემბრის 6-ს პარასკევს დილის 4—5 საათზე, ორი კვირის ავათმყოფობას შემდეგ, კუჭისა და ფილტვების ანთებით, გარდაიცვალა მღვიმის დედათ მონასტრის წინამძღვარი მაღალღირსი იღუმენია ელენე, შობიდან 67 წლისა. განსვენებული იღუმენია ელენე იყო ქუთაისის მაზრის სოფ. სიმონეთის მცხოვრებლის აზნაურის მიქელ (იგივე მიხეილ) ჭუმბურიძის ასული. განსვენებული სიყმაწვილეშივე მიებარებიათ სოხასტრის დედათა მონასტერში, სადაც მას მიეღო განათლება სამშობლო ენაზე, ე. ი., უსწავლია წერა კითხვა, საღმრთო წერილი და საეკლესიო ვალობა ძალიან კარგათ და მაშინ კიდეც გადაეწყვიტა მონაზონობა. ამავე სოხასტრის დედათა მონასტერში, როგორც ჩანს ნამსახურებითი სიიდან, იმერეთის მიტროპოლიტის დავითის მიერ განწესებულ არს მორჩილათ 8-ს აპრილს 1847 წელში.

იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს განკარგულებით აღკვეცილ არს მონაზონათ არქიმანდრიტის გაბრიელის მიერ გაენათის მონასტერსა შინა 28 აგვისტოს 1854 წელს.

ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით განწესებულ არს თანაშემწეთ მღვიმის დედათა მონასტრის წინამძღვრის ათანასიასთან 27 დეკემბერს 1871 წელს.

დაინიშნა წინამძღვარის თანამდებობის აღმასრულებლათ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის განკარგულებით 11 თებერვალს 1884 წ. აღყვანილ არს იღუმენიის ხარისხზე იმავე ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით 11 დეკემბერს 1886 წელს.

ერთგული სამსახურისთვის იმავე ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ ებოძა გულის ჯვარი 1892 წელში.

აწ განსვენებული იღუმენია ელენე მხნეთ და პატიოსნათ მართავდა მონასტერს თორმეტი წლის განმავლობაში. იყო შემბრალე გლახაკთა და დავრდომილთა; იყო ფრიად ღვთის მოშიში და მლოცველი. როდესაც მიიღო დანიშნულება დედათ წინამძღვრის თანამდებობაზე 1884 წელში აწ განსვენებული იღუმენია შეუდგა მონასტრის გაუმჯობესობას:

იშუამდგომლა სასულიერო მთავრობასთან და თითო სართულიანი მონაზონთა სადგომები (სენაკები) გადააკეთა ოროლ სართულიან შენობათ, შეაკეთა ადგილობითი ეკლესია და მოუპოვა სხვა-და-სხვა სამკინო ნივთები, აგო სამრეკლო და შემოუმატა შვენიერი ზარი და სხვა...

ამასთანავე განახორციელა ძველებური მონასტრების დანიშნულება—სწავლა-განათლება; მთავრობის ნება-რთვით და თავის მზრუნველობით დააარსა 1 იანვრიდან 1894 წელს ერთ-კლასიანი საეკლესიო—სამრევლო სკოლა ორთავე სქესისათვის მისდამი რწმუნებულს მონასტერში, რომელშიაც მუდამ სწავლობს არა ნაკლებ 50 ქალი და ვაჟი. განსვენე-

ბულს ძალიან უყვარდა პატარა მოსწავლე ბავშვები და ყოველთვის დარიგებას აძლევდა და აგულიანებდა მათ სწავლაზე და ღარიბს მათგანს აძლევდა შემწეობას.

შეუბრალებელმა სიკვდილმა მოულოდნელათ გამოგვაცალა ხელიდან; მწარე ცრემლებით და შენდობით გამოეთხოვენ განსვენებულს მონასტრის კრებული დები—მონაზონები და ყველა მისი ნაცნობი და მონათესავე 8 სეკტემბერს, რომელ დღესაც დაკრძალეს მონასტრის სასაფლაოში.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი მაღალ ღირსო დედაო იღუმენია ელენე! განსვენების დღეს წირვა, წესის აგება და პანაშვიდი შეასრულა ჯრუჭის არქიმანდრიტმა მამა ბენიამენმა მღვდ. ბლაღოჩინების იოსებ წერეთლის, აბესალომ ჩაჩანიძის და სხვა სამღვდელო პირების თანდასწრებით ადგილობითი მონასტრის ეკკლესიაში.

მღვიმის მონასტრის საეკლესიო სამრეველო სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე.

ამას არ შეიძლება არ დავუმატოთ, რომ მარიამობის 18 რიცხვს, იღუმენიას საკვდილის სწორეთ ორი კვირის წინეთ, მე მივდიოდი ჭიათურას და რადგან დიდი ხნის სურვილი მქონდა მენახა მღვიმის მონასტერი, თუმცა ავდარი და ბნელი ღამე იყო, მაინც შევუხვიე. სანამ მაღლობზე ავდიოდი (მონასტერი კლდეზეა მიშენებული), კარგა ხანი გავიდა, ისე რომ როდესაც მონასტრის კარებს მივადექით მე და ჩემი თანამოგზაური ცხრა საათი იქნებოდა. მონასტერი მძინარეს დამხვდა, მაგრამ მგზავრის მიღება ჩვეულებათ ჰქონიათ და მეც სტუმართ-მოყვარეობით დამიხვდენ. გამომეგება თითონ იღუმენია ელენე. ვინ იტყოდა, რომ 50 წელზე მეტისა იქნებოდა! ლაპარაკში აღმოჩნდა მისი უზომო მზრუნველობა მონასტრისადმი. იგი ჩიოდა, რომ კერძო პირების დავამ მონასტერთან ამ უკანასკნელს ხელიდან გამოაცალეს მამულები, რომლების შემოსავლით ინახება მღვიმის მონასტერი თავისი სკოლით. მეორე დილას, ადრიანათ, დავათვალიერე ძველებური მღვიმის ეკლესია თავისი გამოჩენილი წყაროთი: ამ მონასტრის აწერა არა ერთხელ იყო მოთავსებული „კვალში“ და ეკლესიაც დახატული. ჩვენდა სანუგეშოთ მგონი ეს იმ მონასტერთაგანია, სადაც დაცულია ძველი ხელოვნური შენობა და მხატვრობა. აქვე ვნახეთ ხელსაქმეები ოქრომკედით ხავერდზე ნაკერი სკოლის მოწაფეებისაგან მოლოზნების ხელმძღვანელობით. სკოლაში სწავლა არ იყო, რადგან უმაწვილები ზაფხულობით დათხოვილი იყვენ. ამ დღეს იღუმენია თავის დებ-მონაზონებით ჩამოვიდა ფეხით ჭიათურაში მონასტრის საქმეების გამო და ვინ იცოდა, რომ ასე მალე გამოესალმებოდა წუთი-სოფელს.

—ან. წ—სა.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

ოზურგეთი. სეკტებრის 8-ს აკურთხეს ქ. ოზურგეთის თვით-მმართველობის სახლი; კურთხევაზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, მიუხედავათ იმისა, რომ ამ დღეს ხალხი სხვა-და სხვა სოფლებში მიეშურებოდა, სადაც ღვთისმშობლობა დღეს თემობა იციან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ამ დღიდან დაიწყო მოქმედება ოზურგეთში სრულიად ახალმა დაწესებულებამ —ქალაქის თვით-მმართველობამ. კურთხევის გათავებას შემდეგ რამდენიმე პირმა წარმოთქვა შემთხვევის შესაფერი სიტყვა. მოვიყვანთ აქ ცოტა შემოკლებით მხოლოთ ქალაქის ახალი მოურავის, თ-დ ნ. თავდგირიძის, სიტყვას.

ბატონებო!

თუმცა ზომაზე მეტი გრძნობის ნაკადული ადამიანს ძრიელ უშლის თავის აზრები სავსებით წარმოთქვას, მაგრამ არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც თავის თავათ იწვევს ადამიანს გრძნობის გამოსაცხადებლათ და, რაც უნდა არ ეხერხებოდეს ლაპარაკი, მაინც უნებლიეთ ენას ამოადგმევინებს. აი, ასეთი არის დღევანდელი შემთხვევაც. ეს შემთხვევა, რომლის გამო თქვენ აქ დღეს შეკრებილი ბრძანდებით, იმდენათ შესამჩნევია, იმდენათ დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენ ცხოვრებაში, რომ მისი ჩვეულებრივათ შეხედვა რაღაც უხერხულათ მიგვაჩნია ყველას. მე დარწმუნებული ვარ: ყველა თქვენგანი რაღაც არა ჩვეულებრივ სიამოვნებას გრძნობს დღეს მით, რომ ჩვენ პატარა საზოგადოებას თითქმის ახალი მოღვაწეობის ხანა უდგება დღეიდან. ვგონებ, ყველა თქვენგანი მიმიხვდება, რომ მე ელაპარაკობ თვით-მმართველობის პრინციპზე. მსოფლიო ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, უსათუოთ შევამჩნევთ ერთ შესანიშნავ მოვლენას, როგორც მთელი კაცობრიობა, ისე ცალკე ერიც დაუღალავი ენერგიით მოქმედებენ შევიწროებული მდგომარეობიდან თავის დახწევისათვის; ცდილობენ მოიპოვონ უფლება, გავლენა, ხმა საერთო საქმეების მართვაში. ყოველ ადამიანში ინსტინკტურათ შთანერგილია ლტოლვილება საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი; თვითარსებობის დაცვის სურვილი მიგვიძღვის საერთო, საზოგადო ინტერესებისკენ. თანამედროვე ცხოვრება მაინც ისე რთულია, ამ ცხოვრებისგან გამოწვეული მოთხოვნილებანი იმდენათ მრავალნაირია, რომ მათი დაკმაყოფილება არ შეუძლია ცალკე ადამიანს; ამიტომაც ყოველმა საზოგადოების წევრმა უნდა შეიგნოს, იცნას საზოგადო ინტერესი თავის საკუთარ საქმეთ, თავის მოთხოვნილებათ. რაც უნდა გალახუ-

ლი, გასრესილი ვიყოთ მუდმივი ყოველ დღიური ჭირ-ვარამით, მაინც არ შეგვიძლია, არ შევნიშნოთ ჩვენში ის მოვლენა, რომ რაღაც ჩაგვძახის, რაღაც გვიზიდავს, გვაქეზებს მაღალ იდეალურ, საზოგადოებრივ საქმისა და ინტერესებისაკენ. არა ერთხელ გვსმენია, რომ ეს მატერიალური ცხოვრება მართლაც ამაოა (?), ცვალებადია (sic!), მხოლოთ რჩება საუკუნოთ ერთათ ერთი უანგარო, პატიოსნური, მოღვაწეობა მომავალი მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. გადავიდეთ ახლა თვით ჩვენ აწინდელ მდგომარეობაზე. არის ისეთი მომენტი ყოველი ერის ცხოვრებაში, როდესაც თითოეულ კერძო წევრს, ცალკე ჯგუფს საზოგადოებისას მიუძღვის საერთო საქმეში თავის განკერძოებული მოვალეობა; ამნაირი მომენტი დგება ჩვენ ცხოვრებაშიც: ვინც ყურადღებით აკვირდება ჩვენი აწლანდელი ცხოვრების ვითარებას, ის უთუოთ შეამჩნევდა, რომ ყოველი მხრით, ყოველი კუთხიდან ჩვენი ხალხის თვით-ცნობიერება იზრდება, ვითარდება. საიმედო, სანუგეშო, ამ ჩვენ საერთო ცხოვრების ვითარებაში ის არის, რომ ჩვენი ხალხი იგნებს, იმ სიმართლეს, რომ მისი უპირველესი პატრონი, ჭირისუფალი, მხოლოთ თითონ უნდა იყოს. ნუ დავივიწყებთ, რომ არას დროს სხვისი შემაყურებელი, სხვის იმედზე დამყარებული ხალხი არავითარ კეთილ ნიადაგზე, სასურველ გზაზე არ დამდგარა. თუ ხალხს ან რომელსამე საზოგადოებას უნდა სიკეთე, უსათუოთ თითონ უნდა ეცადოს, თითონ უნდა ეძიოს თავის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი საშუალება. ჩვენ დღეს, შემთხვევით, თავის თავათ გვივარდება ხელში ერთი, თუმცა მცირედი, მაგრამ საიმედო სახსარი ჩვენი საზოგადო ინტერესებისთვის საზრუნველათ და ამ გარემოებით ჩვენ უნდა ჯეროვანათ, ღირსეულათ ვისარგებლოთ. ჩვენ ის ნუ შეგვაშინებს, რომ ჩვენი ასპარეზი მეტათ ვიწროა. საზოგადო საქმე მით არის შესანიშნავი, რომ ყოველივე მცირედი საქმე შეიძლება შეერთებული ძალის საშუალებით გაფართოვდეს და გაძლიერდეს. ახლა ჩვენ მოვალეობაზედაც. დიდი ხანია ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ავის მდომელნი საქვეყნოთ გაიძახიან, რომ ჩვენ, ქართველები, ჯერ კიდევ არ მისულვართ იქამდის, როდესაც ხალხს თავისუფლათ, გონიერათ შეუძლია თავის საკუთარი საქმეების წინ წაძღოლა, მათი რიგიანათ დაყენება. ჩვენი ვალდებულებაა წესიერი მოქმედებით დავუმტკიცოთ იმათ, რომ შეგვიძლია ჩვენი საქმეების მმართვა. ამის ასრულება ჩვენ შეგვიძლია: ჩვენ ბუნებით ნიჭიერი, გონიერი ხალხი ვართ, მხოლოთ დღემდის გვაკლია ერთობა, საიმედო კავშირი ხალხის სხვა-და-სხვა წოდებათა შორის, გვაკლია ჩვენი ნამდვილ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა შეგნება; დღეს ეს დიდი ნაკლი თან-და-თან ჰქრება. ჩვენი მოვალეობაა, ხელი შევუწყოთ ამ საქმეს. რაც შემეხება პირადათ მე, ამ შემთხვევაში, არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გამოუცხადო მთელ აქაურ საზოგადოებას ჩემი უკულითადესი, უწრფელესი მადლობა იმ პატივისცემისათვის, რომელიც მან მომანიჭა ჩემი არჩევით ქალაქის მოურავის ადგილზე. მე ისე არ გავკადნიერდები, რომ ეს გარემოება მივაწერო მარტო ჩემ პირად ღირსებას. მე მხოლოთ ამას იმით ვხსნი, რომ ჩვენი საზოგადოება თხოულობს სამოღვაწო ასპარეზზე ახალგაზრდობას, უცხადებს მას ნდობას; მე, როგორც ერთი ახალგაზრდობის წარმომადგენელთაგანი, მადლობას ვუძღვნი ჩვენ საზოგადოებას ამ კეთილ საქციელისათვის თუმცა ამ ბოლო ხანებში საყვედური გაისმის ჩვენი ახალგაზრდობის წინაალმდეგ, რომ ის ვერ ამართლებს საზოგადოების იმედებსო; მაგრამ ეს ძრიელ სასტიკი(!) და, ცოტა არ იყოს, უსამართლო (?) მსჯელობაა. თუ მართლა ჩვენი ახალგაზრდობა ვერ აკმაყოფილებს ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებას, ამის მიზეზი თვით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაა. თუ თვით საზოგადოება არ აძლევს საზრდოს, გონებრივს და სულიერს, ახალ-თაობას, მან რა უნდა ქნას. მერწმუნეთ, თუ ჩვენი ცხოვრება თავის—თავათ მოითხოვს ახალგაზდობას სამოღვაწო ასპარეზზე, ის ღირსეულათ დაუხვდება წინ ყოველსავე საქმეს.

***

ქუთაისი. წელიწადი შესრულდა და დღევანდლამდის არ ღირსებია ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობას შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება, თუმცა კანონი ავალებს, ესე ვითარი ხარჯთაღრიცხვა უნდა ყოფილიყო დამტკიცებული წარსული წლის ბოლო ხანებში (1895 წ.). იმედია, რომ ეს წელიწადი როცა გათავდება, მაშინ მაინც ეღირსებიან ამის დამტკიცებას, რითაც უნდა ეხეთქებოდეს მძლევანელლებია ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობას, როგორც შემოსავლის ასალებათ, ისე ხარჯების საწარმოებლათ. მიუცილებელი ხარჯები გადაემატება მოსალოდნელ შემოსავალს რამდენიმე ათასი მანეთით და ამის გამო აპირებენ სესხს, რომ დააკმაყოფილონ აუცილებელი ხარჯები.

თეატრის შენობაში მოხდა კრილობა შესახებ თეატრის საქმისა და მოლაპარაკება გათავებულა მით, რომ ამოურჩევიათ კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ის წესი, თუ რა საშუალებით იქნეს სი-

სრულში მოყვანილი საზოგადოების სურვილი, რომ დაარსდეს ქართულ წარმოდგენათა მუდმივი დასი.

* * *

ბარის ოსეთი. წელს ბარის ოსეთში, ხორბლის და ქერ-ფეტვის მოსავალი საშუალოა: არც ძრიელ კარგია და არც ძრიელ ცუდი. რაც შეეხება სიმინდს, თუმც იმას პირველათ კარგი პირი უჩანდა (გარდა ზოგ-ზოგი ნაგვიანევისა), მაგრამ მომწიფდა თუ არა, გაუჩნდა ღეროებში რაღაც ჭია; ჭია შიგნიდან სიმინდის ღერს ღრღნის და ამნაირათ, მცირე ნიავი დაუბერავს თუ არა, სიმინდი ღეროში იმტვრევა და დედა-მიწაზე ეშვება. ამგვარათ ჯერ სრულიად შემოუსვლელი სიმინდი ზოგი ლპება და ზოგსაც თაგვი და სხვა-და-სხვა გვარი მწერი აფუჭებს. ამ ამბავმა ბარის-ოსები, ძრიელ დაალონა. სამწუხარო ამბავი ჩამოაქვთ მთის-ოსეთიდანაც; იქაც უმეტეს ნაწილათ წელს არც ქერი და არც თივა არ მოსულა საკმარისი.

დაუდეგარი ქიშტები, დრო-გამოშვებით კიდევ არ აძლევენ მოსვენებას ბარის-ოსებს. სოფლათ რომ ველარ ბედავენ ქურდობას, რადგანც ბარის ოსების ყველა სოფლებში ღამის ყარაულები ჰყავთ, მინდვრათ და გზებში თავს ესხმიან ხოლმე ბარის ოსებს. მაგ., წარსული მკათათვის გასულს, სოფ. ზილგელის მცხოვრებთ, რომელთაც თივა მიჰქონდათ კავკავში, მოულოდნელათ დაესხენ თავს ექვსი შეიარაღებული ცხენოსანი ქიშტები, წაართვეს თერთმეტი ცხენი და გაირეკეს. ზილგელებმა წინაალმდეგობა ვერ გაუწიეს, რადგანაც იარაღი არავის არა ჰქონდა (ამ სოფელს მთავრობის განკარგულებით აქვს აყრილი იარაღი). ამ თვის სამს სოფ. ხუმელაგის ღამის მეხრეებს თავს დაესხენ ქიშტები. ქიშტებმა დაიწყეს თოფის სროლა; მეხრეებმაც თოფ-თვე გასცეს პასუხი, მაგრამ, რადგანაც ქიშტებს ბერდანის თოფები ჰქონოდათ, დაძლიეს მეხრეებს და რვა ხარი გაირეკეს. სოფლიდან მდევარი ჩქარა მიეშველა, იმ ღამეს ველარას გახდენ და მეორე დღეს კვალი ქიშტების სოფელ აჩლოყში მიიტანეს, სადაც ხარებიც ამოაჩინეს. ამნაირათ, ბარის ოსებს კი აკრძალული აქვთ ბერდანის თოფის ტარება და შენახვა, ქიშტები კი ქურდობის დროს, ბერდანის თოფებით იბრძვიან ხოლმე.

ეს ორი კვირა არის, რაც ფქვილმა აიწია, ფუთზე ორი შაური მოემატა ყველა ნაირი ხარისხის ფქვილს.

ბარის ოსეთიდან ყოველ დღე გაუწყვეტლივ ეზიდებიან სიმინდს რაჭაში, სადაც მიტანილ სიმინდს ოთხ აბაზათ ჰყიდიან.

ქართველი ოსებში.

* * *

სად. ძეგამი. ამას წინეთ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში მოხსენებული იყო, რომ სად. ძეგამის ახლოს ბ. ალექსანდრე ბერიძემ დაარსა „ცეცხლის შეუპოვარი“ (огне упорный) აგურის ქარხანაო; სხვა ამის შესახებ იქ არაფერი იყო ნათქვამი. ეს ქარხანა იმდენათ შესანიშნავია, რომ მისი უყურადღებოთ დატოვება უსამართლობა იქნება. ამ ქარხანას სახელათ ჰქვია: „შრომა“ და ეკუთვნის სამ ამხანაგს: ბბ. ბერიძეს, ონიკაშვილს და ერთ სომეხს (გვარი არ ვიცი). ქარხანა ამზადებს ისეთ აგურს, როგორიც არც კავკასიაში მზადდება და არც რუსეთში. ამნაირი „ცეცხლშეუპოვარი“ აგურის მოთხოვნილება კავკასიაში დიდია, რადგანაც მას ხმარობენ ყველანაირ ორთქლმავალზე, სახელოსნოებში, კერძო ქარხნებში, ერთი სიტყვით, სადაც კი საჭიროა უდიდესი ტემპერატურის (სითბოს) ბუხრები (печи высокой температуры). ამნაირი აგური შემოაქვთ კავკასიაში ინგლისიდან. თუმცა ეჭვ გარეშე იყო და არის, რომ კავკასიაში იპოვება ისეთი მიწა, რომლიდანაც გაკეთდება ასეთი აგური, მაგრამ აქამდის მაინც ვერავინ შეძლო მისი ამოჩენა. ცდა კი ბევრი იყო, მაგრამ პირველ გამოცდაზედვე ადგილობრივ მომზადებული აგური დიდი ტემპერატურის ბუხარში იფხვნებოდა და უვარგისი ხდებოდა.

სხვათა შორის, ამ საქმისათვის ყურადღება მიუქცევია დიდი ხნიდან ბ. ალ. ბერიძეს. ბერიძეს რამდენჯერმე წარუდგენია გამოსაცდელათ მის მიერ მომზადებული აგური, მაგრამ გამოცდის დროს უვარგისი გამომდგარა. ამნაირი ბედი წევვია თითქმის ექვს ჯერ. მიუხედავათ ამისა, იმას მაინც არ დაუნებებია თავი ამ საქმისათვის, და შესანიშნავ ენერგიულ მეცადინეობას შემდეგ, როგორც იყო მიაწია თავის მიზანს, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

ამ რამდენიმე თვის წინეთ ბერიძემ მოიტანა განჯის სადგურზე გამოსაცდელათ ქარხანა „შრომაში“ მომზადებული აგური. ადგილობრივი დეპოს უფროსის თანდასწრებით ერთი ბერიძის და ერთიც ინგლისური აგური შევდევით გამოსაცდელ ფეჩში. ნახევარ საათს შემდეგ გამოვიღეთ ჯერ ინგლისური აგური, მაგრამ ვაი იმისთანა გამოღებას! აგური ცეცხლში დამდნარიყო, როგორც ტყვია, და ხელში შეგვრჩა აგურის ერთი კუთხე. ჩვენ იმედი გადაგვიწყდა და ვფიქრობდით, რომ ბერიძის აგურსაც ეგ დღე დაადგებოდა; მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა აგური გამოდგა სრულებით დაუზიანებელი. გარეგანი შეხედულებაც კი არ გამოცვლილოდა.

ამნაირათ ბ-ნ ბერიძის აგურმა შესანიშნავათ გა-

იმარჯვა ინგლისურ აგურთან. ამით დიდათ გაკვირდენ როგორც დეპოს უფროსი, აგრეთვე სხვა დამსწრენიც. უფროსმა დაუმოწმა აგურის ღირსება; ამასთანავე ურჩია გამოეგზავნა ოციოდე აგური ორთქლმავალის ფეჩში ჩასადებათ, რათა რამდენისამე თვის მუშაობას შემდეგ უფრო კარგათ გავიგოთ ამ აგურის ნამდვილი ღირსებაო.

მას შემდეგ აგერ მესამე თვეა ერთი ორთქლმავალი (паровозъ) მუშაობს ბ-ნ ბერიძის აგურისაგან გაკეთებული ფეჩით და ჯერ არავითარი ცვლილება არ ეტყობა. ინგლისური აგური კი მხოლოთ ორი თვის მუშაობას უძლებს. ამნაირათ, როგორც ვხედავთ, დღეიდან დიდი წარმატება მოელის ძეგამის აგურს, რადგანაც ის, როგორც ღირსებით, ისე სიიაფითაც დიდ მეტოქობას გაუწევს ინგლისურ აგურს.

საზღვარ გარეთის აგური ფასობს 12—20 კ., ძეგამის კი 5—6 კაპ.



ძველი დროის მეცნიერის სამუშავო ოთახი.

ამნაირი აგური რომ სხვას ვისმე უცხოელს მოეგონა აქ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, მეტი გასავალი ექნებოდა და კიდევაც ყველანი მიიღებდენ, მაგრამ ახლა, როცა მომგონი უცხოელი კი არა, ადგილობრივი მამულის შვილია, როგორღაც არ ჯერათ და ეჭვის თვალით უყურებენ. სამწუხაროთ, ხმა დადის ვითომ ბერიძე თავს ანებებს ამ ქარხანასო; მაგრამ იმედია, რომ ამდენ მხნეობას და ჯაფას ასე ადვილათ თავს არ დაანებებს ბ. ბერიძე.

ს. დოლიძე.

⁂

ბათომი. ალებ-მიცემობა დღითი-დღე მატულობს ქართველთა შორის, მაგრამ უცხოელებთან შედარებით ჩვენ ჯერ კიდევ უკან ვართ ჩამორჩენილი. ამის მიზეზი ის_არის, რომ დიდ ქალაქებში, მაგ., ბათომში, ქართველი კაცი, ვაჭარია ის თუ ხელოსანი, ან უბრალო მუშა, ობლათ მოჩანს. ის მუდამ იმის ფიქრშია, რომ როგორმე ორი გროში იშოვოს და ისევ სოფელში დაბრუნდეს. ქალაქი მას ისე არა რწამს, როგორც თავის სოფელი, და ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი ხალხი ქალაქებში ერთი ერთმანეთისაგან განცალკევებული ცხოვრებს, რის გამო ვერ წინაურდება; ის მხოლოთ თავის სოფლისკენ მიეშურება, სადაც თავისი კერა ეგულება. სხვებს კი ამის იმედი არა აქვთ; ამიტომ თავს აკლავენ, რომ როგორმე მკვიდრი ნიადაგი გაიჩინონ ქალაქშივე და მიტომაც ყოველსავე საქმეს ხელში იგდებენ. აქიდან აშკარაა, რომ გამარჯვება ამ უკანასკნელთ უნდა დარჩეთ. სხვებმა თუ, მაგ., ქვიტკირის შენობები წამოჭიმეს ჩვენ ქალაქებში, ქართველებს რაღა დაემართათ?—ის რომ ჩვენში სულ სოფელზე ფიქრობენ და მხოლოთ იმის იმედი აქვთ, რომ იქ სადღაც ქცევა-



ახალი გვინეის ნავები.

ნახევარი მიწა დარჩენიათ, და სადაც კი ბრძოლაა საჭირო, იქ ყველაფერს თავს ანებებენ და სხვებს უთმობენ. ათასობით არიან ისეთი პირები, რომლებსაც შეძლება ნებას აძლევს, იქ დამკვიდრდენ, სადაც ჩვენთვის უფრო საჭიროა, მაგრამ სამწუხაროთ, ასე არ იქცევიან. ესენი უფრო ამჯობინებენ თავის მეზობლებს მოაწონონ თავი და ამასთანავე პირიდან გამოაცალონ ცხოვრების სახსარი. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ერთი-ერთმანეთის დახმარება არ ვიცით. ამ დახმარების კეთილ შედეგს ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ სხვა ერთა წარმომადგენელებში, მაგრამ ჩვენ ეს ჯერ-ჯერობით ვერ შეგვითვისებია.

ერთი ჩვენი სანუგეშო საქმე ახლა აქ სამკითხველოს გახსნაა. იმედია, პატივცემული პირები მალე დააგვირგვინებენ ამ კეთილ საქმეს; ამასთანავე საჭიროა, რომ სამკითხველოსთვის ისეთი ალაგი აირჩიონ, რომ მუშა-ხალხისთვის ხელ-მისაწვდენი გამოდგეს.

ა. მაკვანეთელი.

## ს ი მ ღ ე რ ა.

ხორცო, დაჭნელდი, დამჭლევდი!
სულო, იხარე, ჰლაღობდე.
ღმერთმა დამკარგოს თუ ამას
სიტყვის შნოსათვის ვამბობდე.
ხორცი რას მიშველს მარტოკა
თუ სულით არა ვგალობდე.
სულო, აჰყვაედი, ამაღლდი,
დაე, ლეშითა ვწვალობდე!

დაგვალულს მიწას უხდება
როს დაწვიმს, დასდის ღვარია.
ეგრევ ნაავდრალს მდელოსა
მზის დახედნება დარია.
სულო, აჰყვაედი, ამაღლდი
ვარდებით დაიფარია.
ცრემლი ჩემ თვალთა ნაწური
ზედ ნამათ დაიყარია,
საჭირ-ვარამო ქვეყნისა
გულს ლახვრათ გამიყარია.
მაშინ ცა მიწას ეწვევა
მთაზე შეჯდება ბარია.
იქ ძოვდეს ჯოგი ირმისა
დაბუბუნებდეს ხარია.
თავს ევლებოდეს ქვეყანას
სხივ უვნებელი მთვარეა.

ვაჟა-ფშაველა.



# უცხოეთიდან.

## სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II*)

### სკოლა.

აგვისტოს 18 (კვირა). კვირაობ-თ არის საკვირაო სკოლა, ზაფხულში ქალთათვის და ზამთარში ვაჟთათვის. იწყება ნასადილევს და გძელდება ერთ საათს. მოწაფენია 14—18 წლისანი, ე. ი. ისინი, რომლებმაც პირველ დაწყებითი სკოლა უკვე დაასრულეს. საკვირაო სკოლაში სიარული სავალდებულოა. აქ იმეორებენ იმას, რაც სკოლაში უსწავლიათ და იძენენ ახალ ცნობებს, რაც პრაკტიკულ მოთხოვნილებას შეესაბამება. ქალებს ასწავლის უფროსი (იმავე დროს უხნიერესიც არის) მასწავლებელი, ვაჟებს უმცროსი.

გაკვეთილი დაიწყო პირველი საათის ნახევარზე. ჟურნალში ჩაწერილია 40 მოწაფე ქალი, ამათში 14 უკვე წასულა სხვა-და-სხვა ალაგას მოსამსახურეთ. სოფელში დარჩენილა 26, გამოცხადდა 24, ორი საპატიო მიზეზის გამო დააკლდა. ეს მასწავლებელს გააგებინეს წინდაწინ. ერთი მხრით სხედან 16—18 წლისანნი, მეორე მხრით 14—16 წლისანნი. უკანასკნელთა რიცხვია 7. პირველათ იგალობეს. შემდეგ უკვე ნასწავლი ლექსები განიმეორეს, მესამეთ არითმეტიკა. განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეულია ანგარიშზე. მასწავლებელმა წაუკითხა ერთი საანგარიშებელი პროცენტებისაგან, ქალებმა დაწერეს. მასწავლებელმა ერთს გაამეორებია და მეორეს აახსნევია, თუ როგორ უნდა იქმნას გამოყვანილი; რაკი გაკეთების პლანი დაიბეჯითეს, გამოანგარიშებასაც შეუდგენ. პატარები უფრო ადრე და რიგიანათ აკეთებენ, ვინემ დ-დები. ეს იმიტომ რომ იმათ, როგორც სასოფლო სკოლიდან ახალ გამოსულთ, უფრო ახსოვთ და გავარჯიშებულნიც არიან. დიდებს კაი ხანია სკოლა გაუთავებიათ და რამდენიმეთ დაივიწყებდენ; იმათ განსაკუთრებით ვარჯიშობა აკლიათ და ჩქარა ვერ გამოყავთ ჯამი (გარდა ამისა ამათ კიდევ თავში სხვა რაღაცებიც უტრიალებსო, ახუმრა მასწავლებელმა). აი, მაგ., რა საანგარიშო გააკეთეს: იყიდება 4 ნაჭერი მაუდი, ზომით $124^1/_2$ მეტრი. თითო მეტრი ღირს 1 მარკა და 40 პფენინგი, გადმოტანა ჯდება 6 მარკა და 80 პფენინგი. გაყიდვის დროს პატრონი იკლებს 1 მარკას 30 პფენინგს. რამდენ პროცენტს მოიგებს მყიდველი, თუ ის შემდეგ თითო მეტრს 1 მარკათ 80 პფენინგათ გაყიდის? უმცროსებმა ათხ წუთში გამოიანგარიშეს, უფროსებს კი რვა წუთი დაჭირდათ და აქაც ზოგს შეცდომა მოუვიდა. ანგარიშს გარდა დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საჭირო ბარათების შედგენას, მაგ., კვიტანციების, პირობის წერილების, სავაჭრო ბარათების, განცხადებების და სხ. მასწავლებელი ხსნის, როგორ უნდა დაიწეროს. შეგირდები წერენ დაფაზე; მასწავლებელიასწორებს და შემდეგ სახლში რვეულზე გადაწერენ. აქ ჩვენ მოვიყვანთ ზოგ ასეთ წერილებს, რომელნიც ქალების რვეულიდან სიტყვა-სიტყვით გადმოვიღეთ. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მკითხველს შეეძლება რამოდენიმეთ აქაური მოქალაქობრივი ურთიერთობაც გაიცნას. როგორც ვთქვით, ადგენენ ისეთ წერილებს, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰჭირდებათ. აი, რა:

1) ადგილს ვეძებ.

18 წლის ქალიშვილი, რომელმაც კარგათ იცის საჭმლის დამზადება და სამზარეულოს გაძღოლა, ეძებს ადგილს. წარმოდგენილი იქნება მოწმობა ჩინებული ყოფაქცევის, ბეჯითობის და სიწმინდის. დადგომა ახლავე შეიძლება. მოლაპარაკება ამ ადრესით.

შენიშვნა. ამნაირათ აცხადებენ გაზეთში სოფლის გოგოები, როცა ქალაქში ადგილს ეძებენ.

2) იძლევა სადგომი ქირით.

ქვემორე ხელის მომწერს (ამა-და-ამ ალაგას) აქვს თავისი სახლის ზედა-სართულში გასაქირავებელი ბინა, რომელიც შედგება სამი დიდი და მშვენიერი ოთახისაგან,—ორის გათბობა შეიძლება. ამას გარდა, ერთი სამზარეულოა, სალარო, გოგოს საწოლი ოთახი და სარდაფი. აგრეთვე სახლის უკან არის ჩინებული ბაღი, რითაც მდგმურთ სარგებლობა შეუძლიათ.

შენიშვნა. ამგვარი ბარათი რასაკვირველია, სოფელში გამოუსადეგარია, მაგრამ ქალაქში კი ძრიელ საჭიროა. როცა ქალბატონი ბინას აქირავებს განცხადებას თავის მოსამსახურე გოგოს აწერიებს და თუ გოგოს ამის არა გაეგება რა, უვიცის და ჩერჩეტის სახელს დაიმსახურებს, რაც მას დიდ ზარალს მოუტანს.

3) ბატონ ვაჭარ მოისელს, ქ. ნიენბურგში.

თანახმათ თქვენი განცხადებისა გაზეთის №-ში (სახელ-) უმორჩილესათ გთხოვთ საჩქაროთ გამომიგზავნოთ 12 ცალი პორცელენის ღრმა თეფში და

*) იხ. „კვალი“ № 40.

20 ცალი ლეინის ჭიქა. საქონლის მიღებისთანავე ფულს გამოგიგზავნით.

თქვენი პატივის მცემელი ეილჰელმი ნაკუფი.
ს. დომელი.

4) ვ ე ქ ს ი ლ ი.

ქვემორე ხელის მომწერი ამით ამოწმებს, რომ მან მეეტლე მ. კაულსეტისაგან სესხათ აიღო 200 მარკა (ორასი მარკა). ამასთანავე აცხადებს, რომ ეს სესხი მეოთხედი წლის გასვლისთანავე პატრონს დაუბრუნოს 4% სარგებლით.

ძალაში შემოდის მისი ხელის მოწერით:

5) კ ვ ი ტ ა ნ ც ი ა.

სოფ. ნოისაცის კალატოზის, ბ. კარლ კონიგისაგან მივიღე 400 მარკის, 4% და კვალათ, გასული წლის სარგებელი 28 მარკა (ოცდა რვა მარკა).

(სახელი და გვარი).

აი, ასეთი შინაარსის წერილების შედგენასასწავლიან ქალებს საკვირაო სკოლაში. ვაქთ, რასაკვირველია, სხვანაირი შინაარსისას, უფრო რთულს და ძნელს, ვინაიდან მათი მოთხოვნილებაც უფრო რთული და ძნელი დასაკმაყოფილებელია.

19 აგვისტო. 7—7½ საათს გაკვეთილია „საზეპირო“, რომელსაც ვერ მივუსწარი. შემდეგი ნახევარი საათი მოანდომეს „ზეპირ ანგარიშს“. აი, მაგ., რას ანგარიშობდენ დაუწერლათ. ასი მეტრი ჩითი ღირს 20 მარკა, რამდენათ ღირს 40, 55 და 15 მეტრი? ასეთი საანგარიშო, სწრაფათ გამოყავთ. მასწავლებელს ხელში უჭირავს საათი და როგორც კი სამ წუთს გადაცდება და საანგარიშო გამოუყვანელი დარჩება, ხელ-ახლათ გაამეორებიებს და აახსნევიებს. აქ ორივე განყოფილება ერთათ არის. 8 საათზე დაიწყო „კითხვა“. გადაშალეს „საკითხავი წიგნი“ და რიგრიგათ წაიკითხეს აღმოსავლეთის გერმანიის გეოგრაფიული აწერილობა. კითხვა გათავდა, წიგნები დახურეს, მასწავლებელი მივიდა დაფაზე გაკრულ კარტასთან და მოწაფეთ გეოგრაფიიდან კითხვები მისცა. ჩამოათვლევია მდ. რეინის, ელბის და ოდერის ნაპირას მდებარე ქალაქები და შესანიშნავი ადგილები. აგრეთვე სად რა შესანიშნავი ომი მომხდარა, როდის და რის გამო, რომელ ქალაქში რომელი ცენტრალური მთავრობა ლი მეფეა; სად რა აბანოებია და რას უხდება და სხ. შემდეგ გადავიდა გერმანიის პოლონიაზე. კითხვა: რამდენ ნაწილათ განიყოფება პოლონია? პასუხი: სამათ. —დაასახელეთ? ბავშმა ჩამოთვალა: პრუსიის პოლონიის დედა ქალაქია პოზნანი, ავსტრიის კრაკოვი და რუსეთის ვარშავი. —რათ განიყოფება ასე პოლონია? —წინათ პოლონია შეადგენდა ერთ სამეფოს, შემდეგ პრუსიამ, რუსეთმა და ავსტრიამ თავიანთ შორის გაინაწილეს. —როდის? —პირველათ 1772 წ. და მეორეთ 1792 წ. ვინ ჩამოთვლის ხელ-მეორეთ ელბის ნაპირას მდებარე ქალაქებს? ააშვირეს ხელი, მარა არა ყველამ; მასწავლებელმა წამოაყენა ყველა და ერთხმათ ჩამოათვლევია ორჯერ. შემდეგ სათითაოთ ჩამოათვლევია არხეი. ბოლოს ხელში დაიკავა პატარა ჯოხი და კარტას დაადვა რომელ ქალაქს ადებს ჯოხი? —ამას და ამას, ასე ბოლომდის. ამ გაკვეთილმა ერთი საათი გაატანა. ყველა ამ კითხვა-პასუხში მეოთხე განყოფილება ღებულობს მონაწილეობას, მესამე განყოფილება უსმენს და პირველთან ერთათ კითხულობს და იმეორებს. საპასუხო კი შეიათათ შეხვდებათ.

შემდეგი გაკვეთილია სამღვთო ისტორია ძველ აღთქმას ასწავლის მასწავლებელი, ახალს მღვდელი. დღეს ახალი აღთქმაა. მოვიდა მღვდელი და აუხსნა მათეს სახარების მეათე თავი ისე, როგორც გუშინწინ მასწავლებელმა. მღვდელი ვალდებულია ასწავლოს, ამისთვის განსაკუთრებით ჯამაგირს არ ღებულობს, მას ნიშნავს სახელმწიფო და ჯამაგირიც სახემწიფო აქვს. მაგ., აქაურ მღვდელს ეძლევა წელიწადში ორი ათასი მარკა და ბინა. თერთმეტის ნახევარზე ბავშები გაიდენ გარეთ გიმნასტიკის სათამაშოთ, რაც ნახევარ საათს გაგძელდა. განსაკუთრებით სამხედრო ვარჯიშობას აჩვევენ. რკინის ჯოხები თოფების მაგიერობას ასრულებენ. გიმნასტიკას ასწავლის უმცროსი მასწავლებელი, თუმცა ის ვალდებულია მხოლოთ თავის კლასის შეგირდთ ასწავლოს. მაგრამ ჩვეულებათ გადაქცეულა უფროსი მასწავლებლის, როგორც უხნიერესის, გიმნასტიკის გაკვეთილისაგან განთავისუფლება. ჩემ კითხვაზე, რატომ თქვენ არ ასწავლით გიმნასტიკას მეთქი, უფროს მასწავლებელმა მომიგო: ეს ახალგაზდების საქმეაო. შეხედულებით ის 40 წლის კაცსა გავს, მაგრამ ნამდვილათ კი 48 წლის ყოფილა. 27 წელიწადია მასწავლებლობს, დომელში მხოლოთ 9 წელიწადია და ამბობდა, აქედან აღარ გადავალო. —განა თქვენგან არის დამოკიდებული გადასვლა-გადმოსვლა? დავეკითხე მე —სამასწავლებლო ასპარეზზე ახალ გამოსულები ხშირათ გადაყავ-გადმოყავთ, ხშირათ უცვლიან შეგირდთ, სოფელს და ადგილობრივ პირობებს, რომ თავისი ძალ-ღონე ყველგან სცადონ და მეტი გამოცდილება შეიძინონ. ხოლო როცა საკმაოთ გამოიცდება, პედაგოგიურ ნიჭს განიმტკიცებს და ნამდვილი პედაგოგის სახელს დაიმსახურებს, მერე მას ისე უთავბოლოთ აღარ ვპყრობიან, ერთ ალაგას რჩება და თუ არ მოისურვა

არც გადაიყვანებენ სხვაგან—ამიხსნა მოსაუბრემ. მასწავლებლის შესახებ დაწვრილებით ქვევით იქნება.

ამით დავასრულე პირველი კლასის გაკვეთილების მოსმენა. ახლა შევიდეთ მეორე კლასში იქნება.

საზღვარგარეთელი.

(შემდეგი იქნება)

## კრიმინალური ანთროპოლოგია.*)

On ne peut plus haïr
l'être qu'on a compris.

Guyau.

გვაჩვენებს რა ლომბროზო დანაშაულობის მსგავს მოვლენას პირუტყვთა შორის, იგი გადადის ველურ ხალხთა ცხოვრებაზე; ის, რასაც ჩვენ დანაშაულობას ვეძახით, ველურ ხალხის ცხოვრებაში შეადგენს ჩვეულებრივ მოვლენას. ლომბროზო არჩევს სიტყვას „crimen"—დანაშაული; ეს სიტყვა წარმოდგა სანსკრიტულ სიტყვიდან „kri"—faire—გაკეთება, მაშასადამე, ამის დასაბამი უბრალო ზმნაყოფილა. ყოველი ენა მოწმობს, რომ დანაშაულობის პირველი დასაწყისი საკუთრების ცარცვა-გლეჯა ყოფილა. ლომბროზოს მიერ მოყვანილ ფაქტებიდან ჩანს, რომ დანაშაულობა (როგორც ეს ჩვენ გვესმის) არის ჩვეულებრივი მოვლენა: ძლიერ ხშირია ველურ ხალხთა შორის კაცის კვლა. რადგან მეტის მეტი მცხოვრებლების გამრავლება ძლიერ სამძიმოა ველურ ხალხ-სთვის და ცხოვრება დამოკიდებულია გარშემო ბუნების სიმდიდრეზე, ამიტომ ამით აიხსნება ასე ხშირი კაცის კვლა; და ეს არამც თუ არ არის სამძიმო და სამარცხვინო საქციელი, არამედ ხშირათ სასიქადულოც. აგრეთვე ძლიერ გახშირებულია მუცლის წახდენა ორსულ ქალთა შორის.

ტასმანიელი ქალები მხოლოთ რამდენსამე წელს შემდეგ, როცა გათხოვდებიან, დათანხმდებიან, რომ დაორსულდენ, ხოლო ისე კი მუცელს იხდენენ. მრავალ ველურ ხალხთა შორის გახშირებულია ბავშების მოკვლა. ზოგიერთ ადგილას, როცა დედა მოკვდება, შვილებს საფლავზე დააკლავენ და ერთათ დამარხვენ. ზოგან როცა მამა მოხუცდება, შვილები მოჰკლენ ხოლმე მას და ხან კიდევაც შეჭამენ; ეს იმდენათ მიღებულია, რომ ხშირათ მამა თხოვს ხოლმე შვილებს ამ ჩვეულების ასრულებას.

რამდენათაც ხალხი მეტ განვითარებაში შედის, იმდენათ უფრო მეტათ ეტყობა ამ გვარი სიმკაცრის შესუსტება და ამასთანავე ვამჩნევთ იმ გვარ მოვლენას, რაც ზნეობას და იურიდიულ დაწესებულებას მოგვაგონებს; თან-და-თან კლებულობს სხვა-და-სხვა გვარი მკვლელობაც.

ველური ხალხის საზოგადოებაში მხოლოთ იმ მოქმედებას ეძახიან დანაშაულობას, რომელიც ამ ხალხის ჩვეულებას არ ეთანხმება; დასჯა წარმოდგა შურისძიებიდან. დასჯაც თან-და-თან მსუბუქდება და ეს შემსუბუქება ხალხის განვითარებაზე არის დამოკიდებული; უპირველესი ფორმა დასჯისა იყო კაცის შეჭმა. „ლინჩის სამართალში", რომელიც ახლაც არსებობს განათლებულ ამერიკაში, არის დარჩენილი კვალი ველურ ხალხთა სასჯელისა და საუკეთესო მაგალითი იმისი, რომ სასჯელი გამოწვეული იყო შურისძიების გრძნობით, რომელიც აქამომდე ყოველ ჩვენთაგანშია, ლომბროზოს სიტყვით. ლომბროზო ამ გრძნობის გავლენით ხსნის, სხვათა შორის, იმ წინააღმდეგობას, რომელიც ოპპოზიციამ გაუწია ამ ახალ სწავლას. თქვენ, ეუბნება ლომბროზო თავის მოწინააღმდეგებს, იმიტომ გაუწიეთ წინააღმდეგობა ამ ახალ სწავლას, რომელიც ღაღადებს, რომ დამნაშავე არის სულით ავათმყოფი და, მაშასადამე, ღირსი სიბრალულისა და ლმობიერებისა და არა სასჯელისა, რომ თქვენში ეს წინააღმდეგობა გამოწვეულია შურისძიების გრძნობის გავლენით, რომელიც ჩვენში, სამწუხაროთ, კიდევ დარჩენილიაო; თქვენთვის ამ გვარი პირის განშორება საზოგადოებისაგან ცოტაა; თქვენ გსურთ დატანჯოთ იგი, როგორც ამ უკანასკნელმა სხვები აწვალაო.

ველური კაცის ზნეობრივ წარმოდგენათა შემდეგ ლომბროზო აგვიწერს ბავშის სულიერ თვისებებს. ზნეობრივი—სულით ავათმყოფობის და დამნაშაობის თესლი ყოველ ბავშშია და, ლომბროზოს სიტყვით, ეს ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენაა. ეს აქამდის სრულებით უარყოფილი იყოო, განაგრძობს ლომბროზო: Moreau-მ, Perez-მა და Bain-მა მხოლოთ ამ ბოლო დროს აგვიწერეს ეს მოვლენა. ბავში წარმოადგენს ადამიანს, რომელიც მოკლებულია ზნეობრივ გრძნობას. ამ აზრის დასამტკიცებლათ მას მოჰყავს მრავალი დამასაბუთებელი მაგალითები.

ბავშობის ხანა, რომელიც ჩვენ წარმოდგენაში ისე არის შემკული სიწმინდით და უმანკოებით, თურმე ყოფილა ბუდე დამნაშაობის და უზნეობისა: სიავე, სიჯიუტე, სიზარმაცე, შურისძიება, სიცრუე,—სულ ბავშის ხასიათშია; ლომბროზოს მოჰყავს მეც-

*) იხ. კვალი № 40.

ნიერი Perez-ის შემთხვევა: ეს მეცნიერი იცნობდა ერთ ბავშს, რვა წლისას, რომელიც წლოვანების და გვარათ ძრიელ ჭკვიანი იყო; დაინახავდა თუ არა ეს ბავში თავის დედ-მამას ან სხვა ვისმე უცხოს ისე გაანჩხლდებოდა, რომ წაავლებდა ხელს რომელსამე ნივთს, რაც კი ხელში მოხვდებოდა და ასე შეარაღებული ესგრებოდა ხოლმე. 15 თვის ბავში დაბანის დროს კბენდა ხოლმე დედას.

თუ რამდენათ შურიანები არიან ბავშები, ლომბროზოს, სხვათა შორის, მოჰყავს ერთი მაგალითიც: ექვსი წლის ბავში, რომელსაც ძრიელ შურდა, რომ მის უმცროს ძმას ყოველთვის ასაჩუქრებდენ და ეფერებოდენ, ხშირათ მიუტანდა ხოლმე დედას დანას და თხოვდა მოეკლა მისი ძმა.

Montaigne-მა თქვაო, ამბობს ლომბროზო, რომ სიცრუვე და სიჯიუტე თითქოს ბავშთან ერთათ იზრდება.

ის გრძნობა, რომელსაც ჩვენ სინიდისს (sens moral) ვეძახით, ბავშს სრულებით არა აქვს თანდაყოლილი. კარგი და ცუდი ბავშმა მხოლოთ იმით იცის, რაც აკრძალულია და ნაქებია მის მშობლებისგან. ბავში ხშირათ იტყვის ხოლმე: ტყუილის თქმა და ურჩობა ცუდია, რადგან ეს დედას არ მოწონსო. ის, რასაც ბავშს უქებენ, უსათუოთ კარგია მის თვალში.

ლომბროზოს აზრით, ბავშს არ შეუძლია შეიყვაროს გულით არც თავისი მშობლები და არც გარეშე პირები. ბავში წააგავს იმ ქალს, რომელიც ჰყიდის თავის სიყვარულს (la femme vènale); მანამდის უყვარხართ ბავშს, სანამ რასმე გამოელის თქვენგან, ხოლო წინაამდეგ შემთხვევაში არავითარი სიყვარული არ აქვს სიმკაცრეც ბავშის თვისებას შეადგენს; იგი უფრო ხშირათ მკაცრია, ვიდრე კეთილი; რა სიამოვნებით აწვალებს პატარა შინაურ ცხოველებს, სრისავს ბუზს და ამტვრევს სათამაშოებს. Broussais ამბობს, რომ არ არის იმისთანა ბავში, რომელმაც დიდი სიამოვნებით არ აწვალოს და არ შეაწუხოს არსება თავის თავზე უფრო სუსტი.

ხშირათ აღმოაჩნდებათ ბავშებს ლოთობის და ბანქოს თამაშის სიყვარული.

ამას შემდეგ, ამბობს ლომბროზო, გასაკვირალი არ არის, რომ ბავშებში ხშირია დანაშაულობა. ამის დასამტკიცებლათ ლომბროზოს მოჰყავს მრავალი მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა სხვა-დასხვა გვარი, ხშირათ მძიმე დანაშაულის მოქმედნი არიან ბავშები.

ერთ ადგილს ჭიდან ამოიღეს ორი წლის დამხჩვალი ბავში; ორ დღეს შემდეგ ამოიღეს ორი წლის და ნახევრის ბავში, რომელიც იმავე ჭაში ჩავარდნილიყო ამოჩნდა, რომ ეს ბავშები თერთმეტი წლის ბავშს ჩაეგდო ჭაში. ეს ბავში მთელ იმ ადგილას განთქმული იყო თავისი ცუდი მიდრეკილებით.

Moreau მოგვითხრობს ერთ შემთხვევას: ერთ სოფელში 8 წლის ბავშმა გადაწვა რამდენიმე სახლი და როცა ჰკითხეს, რა ჰქენიო, მიუგო: მინდოდა ჩემი ამხანაგები გამერთოო.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ყველა ის მაგალითები მოვიყვანოთ, რომლებითაც ლომბროზო გვიჩვენებს, თუ რა ხშირია სხვა-და-სხვა გვარი დამნაშაობა ბავშებში. ამ-ტომ არის, რომ იმ პირებს, რომლებიც ისტორიაში არიან განთქმული თავისი ავი ზნით, ბავშობიდანვე ეტყობოდათ ცუდი სულიერი აგებულება; ასე მაგალითათ კარაკალლა, კალიგულა, რომის იმპერატორები, ლუი XI, კარლოს IX, საფრანგეთის მეფეები, რუსეთის მეფე იოანე მრისხანე და სხვები.

Roussel-ის სიტყვით 2582 როსკიპებში ნახევარზე მეტი მცირე წლოვანი ამოჩნდა 1877 წ.

ამით თავდება შესავალი ლომბროზოს თხზულებისა. მაშასადამე, ლომბროზოს ამით სურდა ეჩვენებია, რომ ის მოვლენა, რომელსაც ჩვენ დანაშაულობას ვეძახით, საზოგადოთ ბუნებაში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, რომ მიდრეკილება დამნაშაობისადმი არის ღრმა გრძნობა დაბადებით თანდაყოლილი. სულიერი თვისებები ბავშის და ველური კაცისა ერთმანეთზე მეტათ დაახლოვებულია, ანუ უკეთ ვთქვათ, სრული მსგავსებაა მათ შორის. მაშასადამე, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენსა და ველურ კაცის სულიერ თვისებათა შორის დიდი მსგავსება და ნათესაობა არსებობს.

გ. ბადრიძე.

(შემდეგი იქნება).

# ე ქ ს პ რ ო მ ტ ი.

(ა. ნ. ე—ს.)

მსურის, გიძღვნა გრძნობა, გულო,
ეს ფურცელი თუ იტვირთებს,
თუ გაუძლებს მუდამ მღელვარს
აღშფოთებულს იმის ზვირთებს.

***

მსურის რაც კი ამ გულში მაქვს
განგიცხადო დღესვე სრულად,

შევიერთოთ აზრი მჭიდროთ,
სამუდამოთ, მეგობრულათ.

***

მსურს, რაც გულს სიყრმიდანვე
რამ ვნებია, შურით, მტრობით,
შენით ჰპოვოს განკურნება
შეუცვლელი მეგობრობით.

***

ბევრი რამ მსურს გითხრა, მაგრამ
რაღაც მძლავრათ ქენჯნის ამ გულს,
თან დამძახის: ,,გაფრთხილდიო"
არა ერთ-გზის მოტყუებულს...

***

მას ვემონე ჯერ-ჯერობით,
ხელს გაუშვებ დრომდის კალამს
და მაშინ კი გული შენთან
საიდუმლოს არ დამალავს!

რუს-იმერელი.



## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბერლინში ქალების კონგრესმა, რომელიც გაგრძელდა ერთ კვირას. დიდი ყურადღება მიიქცია. ქალაქის სახლის დიდ დარბაზში მოხდა კრება ქალბატონი ლინის მორგენშტერნის თავმჯდომარეობით. თითქმის ყოველ ქვეყნიდან იყვენ წარმომადგენელნი; სხვათაშორის, მიიქცია ყურადღება სომხის ქალმა ქ. მელიქმა, რომელმაც აუწერა სომხების ქალების მდგომარეობა. ნემეცის ქალმა შტრიგმა წარმოთქვა, რომ საჭიროა ნემეცების ქალების განათლებაო, უნდა მიეცეს მათ თავისუფლება ზნეობრივი და ნივთიერიო. ინგლისელი, ამერიკელი და დანიის წარმომადგენელნი კი ამბობდენ, რომ ქალებს ყველა ეგ მინიჭებული აქვთ კიდეცო. ყველა წარმომადგენელებმა საჭიროთ დაინახეს სხვა-და სხვა საგნებისთვის მიექციათ ყურადღება.

***

კოროლევა ვიქტორიას, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ამ ბოლოს დროს თვალს აკლდება. ქალაქ ვისბადენიდან მოუწვევიათ გამოჩენილი თვალების ექიმი პაგენშტეხერი, რომელსაც წინეთაც უთქვამს და ახლაც გაუმეორებია, რომ არა ეშველებარაო. კოროლევის მასართმევ მოხსენებებს უწერენ ძლიერ სხვილი ასოებით ასე იქცეოდენ კოროლ გიორგის III-ის წინაშე რომელიც იყო პაპა ვიქტორიასი; იმასაც აგრეთვე თვალები ტკიოდა და ბოლოს სულაც დაბრმავდა.

***

გაზ. ,Daily Neus"-ის სიტყვით სულთანს გაუგდია არაბეთში თავისი მეორე ცოლი და ზოგიერთი კარისკაცები. ამის მიზეზათ შემდეგს ამბობენ: სულთანს ამ ცოტა ხანში უპოვია თავის მაგიდაზე წერილი, რომელშიაც მას უცხადებდენ, რომ ახლანდელი მისი პოლიტიკა მასვე დაღუპავსო. ეს წერილი თურმე, როგორც აღმოაჩინეს, დაუდვა მაგიდაზე აბდულ-ჰამიდის მეორე ცოლს.

***

ცნობილი პოეტი ი პ. პოლონსკი, რომელიც 30 წელიწადზე მეტია, რაც ცენზორათ არის უცხო ქვეყნის ლიტერატურისა, ახლა დანიშნეს რჩევის წევრათ ბეჭდვითი საქმის უმაღლეს გამგეობაში.

***

გაზეთების სიტყვით: საფრანგეთის ელჩი იყო სულთანის სანახავათ და პირდაპირ მოახსენაო, თუ უწესოებანი არ მოიშალა ოსმალეთში, ევროპის სახელმწიფოები შეიარაღებულნი ჩაერევიან ოსმალეთის სახელმწიფო გამგეობაშიო. ოსმალეთის მთავრობას კი იმედი აქვს, ამ უკანასკნელ თვეებში არეულობა არა მოხდებარაო. ელჩი კამბონი რაკი დაბრუნდა კონსტანტინოპოლს, სულთანი ინახულა და სამი საათი ელაპარაკა. რა გადაწყდა ამას შემდეგ, ჯერ არავინ იცის, მხოლოთ ფიქრობენ, რომ რაკი საფრანგეთის მთავრობა ჩაერია საქმეში, სულთანი უფრო ხათრს მოიდებს და შეღავათს მისცემს ქრისტიანებსო.

ხუთ სექტემბერს გამოვიდა სულთანის ბძანება, რომ რაც ზომები აქვს სომხეთის მხარეებში იყო მიღებული, ის ზომები უნდა იხმარონ ყოველგან ოთომანის იმპერიაშიო.

***

ახლანდელი გამოჩენილი მოგზაური ნანსენი დაუნიშნავთ პროფესორათ და დირექტორათ ბიოლოგიური ინსტიტუტის ქალაქ ქრისტიანიაში.

*
* *

შანხოის ქვეყნიდან იწერებიან, რომ თიბეთში ერი გამდგარია ჩინეთის წინააღმდეგ. იქაურ ხელ მწიფეთ სასულიერო წოდების უფროსი, ანუ სარწმუნოების წარმომადგენელია დაყენებული, რომელსაც სახელათ დალაი-ლამა ჰქვია. მისი ბრძანებით ხალხი ადგა ჩინელების წინააღმდეგ. ჩინეთის მინისტრი ლაგასიდან გაიქცა. თვით ჩინელებიც გაიქცენ თიბეთის ქვეყნიდან. ჩინეთის ჯარი სამი ათასი კაცი მოვიდა ხალხის დასამშვიდებლათ, მაგრამ ვერა გაარიგესრა. რუსეთის საელჩო, რომელიც ცხოვრებს თიბეთის ჩრდილოეთით, დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს.

## მცირე შენიშვნა.

მართალია, ამ წერილს სათაურათ აწერია ,,მცირე შენიშვნა", მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მცირე წერილი დიდი მწუხარების და ვაების გამომხატველია. ამ წლის მკათათვეში შირაქში (ტარიმანაში) დიდი უბედურება მოხდა: ორმოცდა ათი ცხვრის ბინა და ფარეხი დაიწვა; ცეცხლმა დააზარალა აგრეთვე საძოვარიც, ე. ი. გადაწვა მთლათ ამ ბინების გარშემო საძოვარი მინდორი. ამ დაზარალებულთაგან რამდენიმე პირი ვნახე და ისინი მეტათ გულ-საკლავ სურათს მიხატავდენ თავიანთ უბედურებისას. ზარალს ამბობენ არა ნაკლებ 100,000 მანეთისას. არცა ტყუიან. ეს უბედურება რაც არის, არის, საქმე ისაა, რომ იმას სხვა უფრო დიდი და საგულისხმიერო ზარალი მოსდევს, რომელიც სრულიად დაღუპავს უქადის ცხვრის პატრონ—ფშაველებს; მალე ზამთარი დადგება, საქონელი და საქონლის პატრონები სიცივით დაიხოცებიან, თუ მალე არ შეუდგენ ფარეხების და ბინების კეთებას. მაგრამ აქ კიდევ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი ჩნდება—საშინელი სიძვირე შენობის მასალისა და საშინელივე სისასტიკე ტყის ყარაულებისა. არ იზამდა ურიგოს სატყეო გამგეობა, რომ დახმარებოდა დაზარალებულთ იაფათ შენობის მასალის გაცემით და არ შეუფერხებდა საქმეს სხვა-და-სხვა ფორმალური მიწერ-მოწერით, რადგან ეს მწყემსებს და იმათ საწყემსოს უფრო ავნებს, ვიდრე არგებს. საქმეს დაჩქარება ესაჭიროება... წყემსებს განზრახვა აქვთ მიართვან თხოვნა, სადაც ჯერა არს, იმ აზრით, რომ შეუმსუბუქონ საბალახოს იჯარა და აგრეთვე იაფათ დაეთმოს მათ შენობების მასალა... ადგილობრივ მაზრის უფროსს უკვე ეუწყა ეს საქმე თავის დროზე და იმედიცა გვაქვს, რომ საქმეს მსვლელობას მისცემს და მით გაუადვილებს საბრალო ხალხს დროზე დაბინავდენ.

ვაჟა-ფშაველა.

## კარცერი და ტიკჭორა.

ძველის ძველი ამბავი.

ვუძღვნი ჩემს მეგობარს ს. მ. კვ—ის. *)

### IV

გათენდა კვირა დილა. მოსწავლეებს დიდი აღელვება ეტყობოდა. მობრძანდა გამგეც; ჩვენ ის შედარებით სხვებთან, ყველაზე უფრო გვიყვარდა. პირველათ იმიტომ, რომ ის ენა მჭევრი კაცი იყო და ტკბილი სიტყვებით ჩვენი მოხიბლვა იცოდა, კარცერშიც ჩასვამდა, კიდეც გამოაგდებდა მოწაფეს, მაგრამ ამასთან ყველას დააჯერებდა, რომ ის ძალიან სულგრძელათ მოიქცა და თუ დამნაშავე დასაჯა, ეს იმ აზრით ჰქნა, რომ სურს მოწაფე გაასწოროს და კაცათ გამოიყვანოს, რადგან თითოეულ მოწაფეს უყურებს ისე, როგორც თავის საკუთარ შვილს და ცდილობს, რომ ყველასაგან ქვეყნის სასარგებლო კაცი გამოიყვანოსო; მეორეთ და უფრო სამართლიანათ გვიყვარდა ჩვენ ,,გამგე" იმიტომ, რომ ის ისე არაფრათ აგდებდა, ისე სასტიკათ ეპყრობოდა და ისე აწვალებდა ჩვენს მასწავლებლებს და პანსიონის უფროსებს, როგორც ეს უკანასკნელები ჩვენ—მოსწავლეებს.

ჩვენი მტანჯველების მტანჯველს, რა თქმა უნდა სხვანაირათ ვუყურებდით და დღესაც, ის რომ დაინახეს, ყველამ გამხნევება დამიწყეს: ნუ გეშინია, გამგე კარგ გუნებაზე არის დღეს, შეიძლება აღარ გამოგაგდონო.

წირვა გათავდა და ჩვენ არა ჩვეულებრივათ, ყველა სამეცადინო დარბაზში დაგვიბარეს. შეგვაგროვეს ალმზდლის მაგიდასთან. მალე ზედამხედველიც მოვიდა და განაცხადა, რომ ამ წამშივე მოვლენ ყველა მასწავლებლები და თითონ მისი აღმატებულებაც მობრძანდებაო. ყველა შევგროვდით და ბოლოს გამგეც მოვიდა. უკან მოჰყვებოდა მას დაღვრემილი თედორე, როგორც ერთი დამნაშავეთაგანი. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უჯრა გაალეს.

*) იხ. „კვალი" № 39.

თედორემ იქიდან ტიკჭორა წყნარათ აშოილო და მაგიდაზე დადვა. გამგემ ლორნეტი შემოიყარა, შეხედა მწყრალათ ტიკჭორას, გადმოგვხედა მერე ჩვენ და იგრგვინა ზარბაზანსავით.

—ამას რას ვხედავ!? რას მოვესწარი! ვინ შეარცხვინა ჩემი მოხუცებულობა, ვინ გამომჭრა ყელი? ვინ წაცხო მთელ სასწავლებელს სამარცხვინო ჩირქი? ასე დააფასეთ, ასე შეიგნეთ ჩემი მამაშვილური ზრუნვა თქვენზე? ნუ თუ აღარ შეგრცხვათ, რომ პანსიონში ალმოსავლეთის ქეიფი განიზრახეთ?!..- მე არ ვფიქრობ, რომ ამის მქნელი მაშინ ნამდვილ ჭკუაზე იყო. ალბათ სულით ავათმყოფი გვყოლია ვინმე პანსიონში. მაშ რით ავხსნათ ეს უცნაური მოვლენა?.. სწავლის ტაძარში წიგნის მაგიერათ მაგიდაზე ღვინის სავსე ტიკი დაბრძანებულა. და ჩვენ იმის მაგიერათ, რომ რაიმე სასარგებლო ცოდნის შესახებ გვემუსაიფოთ, იძულებული ვართ ამ საზიზღარი ტიკჭორის შესახებ მთელი გამოძიება შევადგინოთ... მითხარით თითონ, რისი ღირსია ამის მომქმედი? ნუ თუ ის კიდევ გავაჩეროთ აქ, რომ სხვა რამე უარესი ჩაიდინოს, რომ ხვალ კიდევ ხელ მეორეთ საქვეყნოთ შეგვარცხვინოს და ასეთი საზიზღარი მაგალითი გაჩვენოთ?! არა და ათასჯერ არა თქვენივე სარგებლობა მოითხოვს, რომ დავითხოვოთ ის, ვინც ჩირქი წასცხო მთელ სასწავლებელს, მოვიშოროთ ის მავნებელი წევრი, რომელმაც ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ მსგავსი, აგერ ოცდახუთი წელიწადია აქ ვარ, და არაფერი მინახავს. მაგრამ მარტო მოწაფე რომ დავითხოვოთ, რა გამოვა? და, აქ ჩვენდა სამარცხვინოთ ყოფილა თურმე ისეთი მოსამსახურე, რომელიც რყვნის და კეთილი გზიდან აბრუნებს აქაურ მოსწავლეებს. ის ყველაზე უფრო სასტიკათ უნდა დავსაჯოთ. აი, შეხედეთ,—მან თითი თედორესკენ გაიშვირა,—საზიზღარი საქმე ჩაიდინა და ისე დგას, რომ თითქოს არაფერი დაუშავებიაო...

—მე მართლა არაფერი დამიშავებია,—გააწყვეტინა თედორემ მას სიტყვა.

—ტყუი! დაუყვირა გამგემ. მაშ ვინ შემოიტანა ტიკჭორით შავი ღვინო?

—მე შავი ღვინო არ შემომიტანია.

—წითელი ხომ შემოიტანე, სულ ერთია.

—მე არც წითელი შემომიტანია და არც არაფერი. გამგე გაბრაზდა.—ხმა გაკმინდე! კრინტი აღარ დაძრა, აბა რა არის ეს ტიკჭორა, შე უნამუსოვ.

—თქვენო აღმატებულებავ, მე ტყუილი არასდროს არ მითქვამს და არც ახლა ვამბობ. გამგე ცოტა დაშოშმანდა. სიტყვები „თქვენო აღმატებულებავ" მას ისეთ სიამოვნებას ჰგვრიდა, როგორსაც ჩვენ ვგრძნობთ რომელიმე ძნელ საგანში ოთხის ან ხუთის მიღებაზე.

—დიახ, თქვენო აღმატებულებავ, განაგრძო თედორემ.—მე ღვინო არ შემომიტანია. არ მისწავლია, მარა იმდენი მაინც კი მესმის, რომ ბავშვებს ღვინო აწყენს. მე მარტო ტიკჭორა შემოვიტანე და იმ ტიკჭორაში რომელიც მე შემოვიტანე, ღვინო ერთი წვეთიც არ ყოფილა.

—არაფერი არ მესმის, გაიკვირა გამგემ, შენ თუ არ შემოგიტანია, მაშ ვიღამ შემოიტანა?

—ტყუის, თქვენო აღმატებულებავ, ტიკჭორა ღვინით სავსეა, თქვა აღმზრდელმა.

—ჭიქა მოიტათ! დაიძახა გამგემ.

თედორემ ტიკჭორას ხელი წაავლო და თავიც მოხსნა. გამგემ ჭიქა შეუშვირა, ღვინო არ დაიღვაროსო. ყველამ კისერი წინ გამოსწია, ერთი შევხედოთ რა ფერის ღვინო არისო.

— ჰშუჰჰ — დაიძახა ტიკჭორამ.

გამგე შეკრთა. ყველა ადგილიდან შეინძრა, თედორემ კუპრიელს კიდევ უფრო დააჭირა ხელი. ტიკჭორა მთლათ დაიჩუტა. მერმე დახვია, დაიკავა ხელში, გაიღიმა გამარჯვებით და ნიშის მოგებით ჰკითხა აღმზრდელს:

—ჰე, ტყუილს ვამბობდი, თუ მართალს? ამ სიტყვებს შემდეგ კარგა ხანს ხმა არავის ამოუღია.

—ეს ჩემი სასაცილოთ აგდებაა, თუ რაა, იკითხა ბოლოს გაკვირვებით გამგემ,—სადაა თქვენი ლოთობა, ან თქვენი ღვინო., თქვით რაღა! ვერც აღმზრდელმა და ვერც ზედამხედველმა ხმა ვეღარ ამოიღეს.

—რას გაჩუმებულხართ! შეუყვირა მან აღმზრდელს. სადაა თქვენი ღვინო?

—წუხელის, წუხელის, კი იყო ღვინო და... დაიწყო აღმზრდელმა.

—წუხელის თუ იყო, სად გაჰქრებოდა, იქნება თქვენ დალიეთ! აჰ! თქვენ თუ გემო გაუშინჯეთ, სწორეთ მთელ ტიკჭორას გამოცლიდით: აჰ: რას გაშეშებულხართ, გაშინჯეთ წუხელის თუ არა?...

გაშინჯა კი არა, კარგათაც გაიჟღენთა ღვინით, მაგრამ გავშინჯეო რომ ეთქვა, ტიკჭორის გამოცლას მას დააბრალებდენ და მაშინ ხომ ვაი მისი ბრალი: ისევ უარის თქმა არჩიეს.

—არა, არ გამიშინჯავს, თქვენო აღმატებულებავ.

—მერე რათ არ გაშინჯეთ? უყვირა გამგემ, არ იყო საჭირო შეგეტყოთ, ღვინო იყო შიგ, თუ არა?.. რას გაჩერდით! მიპასუხეთ ჩქარა!

—მისმა მაღალ შობილებამ მიბძანა, ტიკჭორა არ გახსნა, ისე ჩაჰკეტეო—თქვა მან დიდი გაჭირვებით.

ზედამხედველმა პირ-და-პირ იუარა, ასეთი ბძანება არ მიმიციაო. მაშინ აღმზრდელმა წარმოადგინა

წუხელის მისგან მონაწერი წერილი, სადაც მართლა იყო ასეთი ბძანება. ზედამხედველიც გაჯავრდა.

—მე რა ვიცოდი, თუ თქვენ ჩემს ბრძანებას ვერ გაიგებდით! მე თქვენგან მომივიდა ამბავი—ღვინო დავიჭირეო. თუ მარტო ტიკჭორა იყო და ღვინო არა, ვერ შემატყობინეთ? მე დავერწმუნე თქვენ სიტყვას და არ გახსნათო, იმიტომ მოგწერეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ გაგეხსნათ და გემო გაგეშინჯათ მთელს ტიკჭორასაც გამოკლიდით. გამგე თავის ჭკუაზე აღარ იყო და ესენი კი ერთი მეორეს ბრალსა დებდენ...

დამიძახეს მეც. გამგემ დამიყვირა:

—შენ ვერ უთხარი გუშინ, თუ ტიკჭორაში ღვინო არ იყო?

ნათქვამია: გაჭირვება კაცს ყოველსავე სიცუდეს აქნევინებსო. წუხელის თუ ქურდობა ცოტაოდენი ყოყმანობით ჩავიდინე, ახლა ტყუილის თქმა თითქმის არც კი გამჭირვებია.

—მე წუხელის კი მოვახსენე, მაგრამ არ დამიჯერა, თუ გნებავთ, მოსწავლეებს ჰკითხეთ, სხვა მაშინ აქ ვრავინ იყო. მაგან მე ლოთობა მომიგონა,—ვუპასუხე მე მღელვარებით და ხმის კანკალით.

—არ მესმის, რატომ უნდა მოეგონებია?

—მემტერება და იმიტომ სულ ჩემ დასჯას ცდილობს! ძალიან მემტერება ვთქვი მე და ზედ მეტი მღელვარებისაგან ტირილიც დავიწყე.

—როგორცა ჩანს, ბუზს მაგივრათ სპილოდ მოგჩვენებიათ, მიმართა მან ალმზრდელს. თქვენი საქციელი წინ დაუხედავი და მოუფიქრებელია..

ზედამხედველიც ჩაერია ალმზრდელის დატუქსვაში, მაგრამ ამასთან ჩემი დასჯაც მოინდომა.

—ალმზრდელი დამნაშავეა, თქვა მან, იმაში, რომ წუხელისვე ვერ შეიტყო, ღვინო იყო ტიკჭორაში, თუ არა, მაგრამ ის მოვლენა, რომ პანსიონში ტიკჭორა გაჩნდა, გასაკვირი არ არის?.. თუ ახლა ღვინოთ შემოიტანეს, ალბათ იმიტომ, რომ მერმე ღვინოზედაც გააგზავნიდენ და ღვინით შემოიტანდენ... თუ არ ლოთობდა, ხომ აპირებდა მაინც ლოთობას. თუ დანაშაულობის ჩადენა ვერ მოასწრო, ხომ ემზადებოდა მაინც...

—მაგი მეც მქონდა სახეში, თქვა გამგემ და მე შემეკითხა:—კარგი, წარმოვიდგინოთ, რომ გემტერებიან. ღვინის სმა მოგიგონეს. მაგრამ ეს ტიკჭორა რათ გინდოდა, რომ შემოატანიე?!.

მე შევყოყმანდი.

—თქვი, ნუ გეშინია, მართალს თუ მეტყვი, ვცდე ყველაფერს გაპატიებ.

—ტიკჭორა საცურავათ მინდოდა...

ჩემმა პასუხმა ყველა გააკვირვა.

—როგორ თუ საცურავათ? შემეკითხა გამგე.

—დღეს უქმე არის და ხვალეც. ზეგისთვის გაკვეთილები დღესვე უნდა მოგვემზადებია. ხვალ, როგორც თქვენც კარგათ იცით, მთელი პანსიონი სასეირნოთ მიდის. ზოგიერთები იქ ტანსაც იბანებენ მდინარეში. სხვებმა ცურვა იცის და მე კი არა. შემეხარბა საშინლათ, და თედორეს შევეხვეწე, სადმე ტიკჭორა მიშოვნე მეთქი. გაბერილ ტიკჭორას მუცელზედ დავიკრავდი და წყალში სულ ზევით-ზევით ვიცურავებდი...—მოვახსენე მე დალაგებით.

მასწავლებლებმა ნელ-ნელა სიცილი დაიწყეს. გამგესაც ცოტა გაეღიმა, მაგრამ მაშინვე უწინდელი სახის გამომეტყველება მიიღო და მკითხა;—მერმე დახრჩობის არ გეშინია?

—თუ მე და ტიკჭორა ერთათ ვიქნებით, მაშინ რაღა მიჭირს?

—კი, მაგრამ, შემომიყვირა ახლა ზედამხედველმა, შენ ვინ მოგცა მდინარეში ბანაობის ნება?! ბაგეზე სიმწარის ღიმილმა გამირბინა.

—აჰ! არ იცი, რომ ეს აკრძალულია? მეორეთ რომ ტანის ბანვა არ გაბედო და პანსიონში ტიკჭორაც აღარ შემოიტანო დამისჯიხარ იმით, რომ ხვალ რომ სხვები სასეირნოთ წავლენ, შენ მაშინ კარცერში უნდა იჯდე!.. მე ტირილი დავიწყე, თუმცა ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ გამოგდებას გადავრჩი.

—რაღას ტირი! ძალიან ცოტა სასჯელია,—დაუმატა გამგემ., ხვალ სხვები სასეირნოთ წავლენ და შენ კი კარცერში ჩაჯდები, მაგრამ რომ არ მოგწყინდეს, შენი საყვარელი ტიკჭორაც კარცერში წაიყოლიე. იქნება ეს შემთხვევაც უფრო ჩაგებეჭდოს გულში, მიატოვო ამას შემდეგ ყოველივე ეშმაკობა და ცუღლუტობა და სწავლასაც კარგათ ხელი მოჰკიდო. ყველამ კარგათ იცის, რომ მოსწავლის გასწორება და კაცათ გამოყვანა, ჩემი უგულითადესი მისწრაფებაა: გასწორდი შენც! დაიჯერე, რაც გითხრან. ნუ იუკუღმართებ და მუყაითათ ისწავლე. ჩემ გულს შენი გასწორება ისე იამება, როგორც შენ საკუთარ მამას, შენი ამ სასწავლებლის გათავება.

ასე გათავდა ეს ,,უცნაური საქმე'' ტიკჭორის შესახებ. მე და იმას, ესე იგი ტიკჭორას, კარცერში ჩაჯდომა მოგვისაჯეს, ალმზრდელს და ზედამხედველს გამოუცხადეს საყვედური, რომ ,,კოღოსაგან სპილო გამოიყვანეს''. თედორე კი დატუქსეს იმისთვის, რომ ,,ბავშების სურვილს აჰყოლია და ყველაფერს უსრულებსო".

გამოგდებას გადავრჩი. ამდენ ხანს ძალიან ვიმაგრებდი თავს. თუ კი რომ ძალი და ღონე მქონდა ამ ,,ჭირის გამაგრებას'' მოვანდომე. ახლა თავისუფლათ ამოვისუნთქე, მაგრამ ამ ამოსუნთქასთან ერ

თათ ფეხებშიც რაღაც სისუსტე ვიგრძენი. წუხანდელმა უძილობამ, ამდენმა ტანჯვამ, წვალებამ, მღელვარებამ, საშინლათ დამქანცა. მე ფერი მთლათ დამეკარგა, თვალებიც მიმებნიდა. სწორეთ წავიქცეოდი, რომ მოსწავლეებს ხელი არ წაეტანებინათ—დაიტანჯა, ავათ არისო! წამოცდა გამგეს და თან ბრძანებაც გასცა, რომ მე რამდენიმე დღე საავათმყოფოში გამეთია და მერმე კი კარცერში „ჩავებძანებულიყავი“.

თევზს წყალში ჩაგდება მიუსაჯესო, ისე დამემართა. მეც საავათმყოფოში წაველი. იქ მაშინვე რაღაც „წვეთები“ დამალევინეს და ცალკე ოთახში მომასვენეს. ცოტა რომ სული მოვითქვი, მომენატრა საშინლათ მამა ჩემისათვის წერილი მიმეწერა, მივედი საწერ მაგიდასთან და დავიწყე. დაახლოვებით არ მახსოვს, მაგრამ ვგონებ ეს წერილი მივწერე: საყვარელო მამავ! პირველათ შენს მშვიდობას და კარგათ ყოფნას ყოვლის შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ, ამასთან ჩემ ამბავს, თუ იკითხავთ, მე, თქვენგან მოძულებულს ქე მიდგია, როგორც არის, გაძაღლებული სული. აქ სწავლასთან ერთათ წვალება და წამება. ვიტანჯები საშინლათ, სული ძლივს მიდგია, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, რომ ყველაფერი მედგრათ გადავიტანო.

მე კარგათ მახსოვს დედა რომ მეუბნებოდა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასო და მეც თვითონ გამომიცდია, რომ „ბალი ძირში მწარეა, მაგრამ კინწიროში გატკბილდება“...

არავის არ შევაწუხებთ. ვისწავლი დღიან-ღამიანა. ერთი ეს სასწავლებელი ჩქარა გავათავო და მერმე მე ვიცი, რასაც ვიზამ...

ბიძიას ჩემთვის ერთი ტიკჭორა ღვინო გამოეგზავნა. ღვინო აქ აკრძალულია, ტიკჭორა დაიჭირეს, შეიქნა გამოძიება და ტიკჭორას ღვინის მოტანისათვის კარცერში ჩამწყდევა გადაუწყვიტეს, ამიტომ ტიკჭორას ჯერ-ჯერობით ველარ გამოვაგზავნი...

კიდევ ბევრს დავწერდი მგონია, მაგრამ უცებ გაიღო ოთახის კარები და ჩემთან გამხიარულებული თედორე შემოვიდა. მომიტანა თან ინდოურის მკერდი და გოჭის ბეჭი.—სხვას ამხანაგები რომ გესტუმრება საღამოს, მაშინ მოგიტანო, ღვინომ კი თავი დაგიკრათო.— თქვა მან ღიმილით. მერმე წერილი რომ დამინახა, მომაწერია ხელი და გასაგზავნათ წაიღო.
—დაღალული ხარ, ახლა უნდა ჭამო და მოისვენო, რომ ღონე მოგივიდეს და მერმე კარგათ ისწავლიო, რა დროს წერა არის? ნურა კაცის ნუ გეშინია, აგრე კიდევ ბევრს გამოვასულელებთო...

თედორესთვის მე არაფერი არ მითქვამს, მაგრამ იმისთანა თვალებით ვუყურებდი, რომ ის ადვილათ ამოიკითხავდა მთელს იმ ღრმა სიყვარულს და თაყვანისცემას, რომელსაც მე მისდამი ვგრძნობდი.

ტიკჭორამ ჩემზე დიდი გავლენა იქონია. მე ის არას დროს არ დამვიწყებია. ან კი საიდან დამავიწყდებოდა, როდესაც მოსწავლეებმა მე მეტ სახელათ „ტიკჭორა“ დამარქვეს. კარგა დიდი გავიზარდე, ტიკჭორასავით ჩამრგვალებულიც აღარ ვიყავი, მაგრამ სახელისა და გვარის მაგიერათ ისინი მაინც სულ „ტიკჭორაო და ტიკჭორაო“ მიძახოდენ...

აი, ეს გახლდათ ჩემი საინტერესო ამბავიც.

პართენ გოთუა.

ქ. ოდესა.

# შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

პ. ლადიძის მიერ გამოცემულ ლექსების პატარა კრებულში მეხუთე გვერდზე მოთავსებულია პატარა ათ სტრიქონიანი ლექსი: „მომეც ისევ იმედი, რწმენა“ რომელსაც ქვეშ მოწერილი აქვს ლათინურათ N. ამავე კრებულში სხვა ლექსებიც არის ამავე ფსევდონიმით მოწერილი, ასე რომ მკითხველი ჰფიქრობს, რომ ყველა ამ ლექსების ავტორი ვიღაც უცნობი N ყოფილა. სხვა ლექსებისა არ ვიცი და ზემოთ დასახელებული ლექსი კი ამოღებულია იმ ლექსიდან, რომელიც არის ჩემ მოთხრობაში „პირველი ტალღები“ (გვ. 70—72) N-ი პირველი 20 სტრიქონი ჩემი ლექსის გამოუშვია, შემდეგ სრულიად შეუცვლელათ გადმოუწერია რამდენიმე სტრიქონი. შემდეგ რამდენიმე კიდევ გამოუშვია, ბოლოს აგრეთვე შეუცვლელათ კიდევ გადმოუწერია ექვსი სტრიქონი და ამ ნაირათ დაუწერია, ვითომ ახალი ლექსი.

დუტუ მეგრელი.

# საქველმოქმედო საქმე.

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა დაკარგულია“.
შოთა.

„კვალის“ 37 ნომერში დაბეჭდილი ბ-ნ გ. წერეთლის წერილი ნოვოროსიელ ქართველების შესახებ იმდენათ საყურადღებოა და საგულისხმო, რომ ვეჭობთ ვინმე ჩვენთაგანმა წაიკით-

ხოს იგი წერილი და მარტო ესლა თქვას: ოხ, რა შვენიერათ არის დაწერილიო.—ჩვენ გვწამს, რომ ყოველი ქართველის გულში იშოვნის ბინას და ჩანერგავს იგი წერილი სურვილს გაჭივრებული ჩვენი მოძმეების ხელის გასამართავათ.—დროა გავახილოთ თვალები, დროა შევიგნოთ, რომ 10—15 წელს შემდეგ თითო კვალი ადგილის პატრონიც არ ვიქნებით (რადგანაც ღვთით ემრავლდებით). ამიტომ საჭიროა ახლავე მივიღოთ ზომები და ვუპატრონოთ ჩვენს თავს და ვეცადოთ დროზე შავი ზღვის პირათ გადასახლებას.—ყოველი ქართველი, ვისაც კი ქართველობით თავი მოწონს და მისი მომავალი რწამს,ვალდებულია ხელი შეუწყოს შავი ზღვის პირათ დასახლების მსურველთ ჩვენს უმიწა-წყლო გახიზნულ მოძმეებს და ყველამ შეძლებისამებრ დახმარება აღმოუჩინოს იმათ ნივთიერათ და ზნეობრივათ. ჩვენი საყვარელი შოთაც ამას გვასწავლის: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო“. ეს მარგალიტი სიტყვები არ უნდა გვავიწყდებოდეს.—ნოვოროსიაში გახიზნულ ქართველთა ხელის გასამართავათ შეწირულება უკვე გროვდება, როგორც ვიცით, ამიტომ ჩვენც აქ ხაშურში (მიხაილოვში) ხელის მოწერით შევაგროვეთ 10 მანეთი და 30 კაპ.—თუმცალა ეს ფული დიდი არ არის, მაგრამ მოგეხსენებათ ნათქვამია: სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეწირებაო. ჯერ-ჯერობით ეს იყოს, ხოლო შემდეგისათვის კიდევ ვეცდებით დავეხმაროთ ჩვენს მოძმეებს.—ხსენებული ფულიდან ათ მანეთს (10 მან.) უკვე ვგზავნი ფოსტით ნოვოროსიაში ბ-ნ სილოვან კალანდაძის სახელზე, რომელიც წევრია გახიზნულ ქართველთა ხელის გამმართველი საზოგადოებისა, ხოლო 30 კაპ. ფოსტის სახარჯოთ არის.—ბ-ნ ს. კალანდაძეს ვთხოვთ, მიღებისათანავე ჩვენ მიერ გამოგზავნილი ფულისა გვაცნობოს გაზეთის საშუალებით.—ამასთან გთხოვთ შემომწირველთა სია დასტამბოთ თქვენ პატივცემულ გაზ. „კვალში“.

შემომწირველთა სია: ი. და ლ. კალანდაძეებმა 2 მანეთი, კ. კოპლატაძემ 1 მან., XX. 50 კაპ., ი. ფანცულაიამ 1 მან., ვ. მასხულიამ 1 მან., ნ. მესხმა— 20 კაპ., ობოლაძემ—20 კაპ., ნ. ჯიბლაძემ—40 კაპ., ა. ნ. სალაყაიამ—40 კაპ., ი. ამირანაშვილმა 25 კაპ., გ. ნ. პაპოვმა 25 კაპ., ბ. ქავთარაძემ 20 კაპ., დანელიანმა 20 კაპ., ა. ჭედიამ 30 კაპ., ს. ჭიპაშვილმა 20 კაპ., ი. ბაბუაძემ 20 კაპ., ა. მესხმა 30 კაპ., კ. ა. კიკნაძემ 25 კაპ., დ. თურმანიძემ 20 კაპ., ა. მახვილაძემ 50 კაპ., ი. მაისურაძემ 50 კაპ. და ი. ნიკობაძემ 25 კაპ.—სულ 10 მან. და 30 კაპ.

გასილ მასხულია.

—

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „კვალში“ დასტამბოთ შემდეგი შემოწირულება ხონის საქალებო სკოლის შენობისათვის.

შემომწირველთა სია: პ. ი. ფარცხალაძემ—3 მან.; ი. ნ. კაკაბაძემ—3 მან.; კ. დ. ბახტაძემ—1 მან. და 50 კაპ.; დ. მ. ძიძიგურმა—1 მან. და 50 კაპ.; ეგ. ნ. კობეშავიძემ—1 მან. და 50 კაპ.; გ. კ. ფარცხალაძემ—1 მან. 50 კაპ.; მ. პ. ბახტაძემ—3 მან.; ს. პ. ბახტაძემ—2 მან.; არ. და ნ. დ—ძე ჭავჭანიძეებმა—2 მან. და 50 კაპ.; ს. დ. წვერავამ—3 მან.; მ. ან. ბახტაძემ—3 მან.; მ. ალ. ფშველიძემ—3 მან.; დ. ფშველიძემ—3 მან.; დ. იოსელიანმა—3 მან.; ვ. დ. ქუთათელაძემ—3 მან.; გ. გ. ზერაგიამ—3 მან.; ან. კვანტალიანმა—3 მან.; ნ. ნ. ჩაკვეტაძემ—3 მან.; ი. დ. რატიანმა—3 მან.; გ. გ. გენძეხაძემ—3 მან.; ი. დ. წვერავამ—3 მან.; ქუთაისის მაზრის სამმართველოსაგან მივიღეთ—40 მან. და 30 კაპ.; სამოსწავლო უწყებისაგან გამოგზავნილი მივიღეთ თებერვლის 27-ს 1895 წელს.—300—მან.; ნ. გ. ქუთათელაძემ—10 მან.; გ. დ. ბახტაძემ—2 მან.; რ. ლ. ბახტაძემ—2 მან.; ფ. მაჭარაძემ—3 მან.; მღვდელმა ი. ქუთათელაძემ—3 მან.; მღვდელმა პ. გოგოლაშვილმა—3 მან.; მაქ. კაკაბაძემ—3 მან.; ივ. ვ. ბოკელავაძემ—3 მან.; ის. ხაინდრავამ—3 მან.; ს. ნ. ლეინცაძემ—5 მან.; საბა ი. ტაბიძემ—3 მან.; 1895 წელს ივლისის 20-სა ბულვარის სეირნობის და საცეკვაო სალამოსაგან ხარჯის გამ. წმინდა ფული მივიღეთ—69 მან. და 50 კაპ.; რატილმა შემოწირა (აგვისტოს 6-ს 1895 წელს)—10 მან.; ზ. გ. მესხმა—5 მან.; ფ. ბ. ჩიქოვანმა—5 მან.; მერ. ი. სანოძემ—5 მან.; ლ. გ. რატიანმა—2 მან.; ა. ნ. წვერავამ—2 მან.; ბ. ი. ბახტაძემ—2 მან.; ივ. ბარქაიამ—1 მან.; მ. ის. წვერავამ—1 მან.; ბ. ბახტაძემ (დიაკონმა)—1 მან.; დ. პ. ჩხენკელმა—5 მან.; ვ. და ბ. ქუთათელაძეებმა—10 მან.; ლ. მ. კაშიამ—5 მან.; მ. ხ. მაჭარაძემ—3 მან.; ას. გ. მდივანმა—30 მან.; კ. ლორთქიფანიძემ—5 მან.; ნ. წერეთელმა—10 მან.; აპრილის 24-ს 1896 წელს გურულების კონცერტისაგან მივიღეთ—6 მან. და 48 კაპ.; გ. ხუნდაძემ—2 მან.; სამოსწავლო უწყებისაგან მივიღეთ იანვრის 25-ს 1896 წელს—600 მან.; გ. ნ. ფანცულაიამ—5 მან.; ი. გ. ფირცხალავამ—3 მან.; ივ. ან. მამფორიამ—10 მან.; მაზრის სამმართველოსაგან მივიღეთ—32 მან. და 56 კაპ.; პ. ჯლარკავამ—2 მან.; ს. რუხაძემ—2 მან.; ბ. ბ. ავალიანმა—5 მან.; 28 ივლისს გამართულ საცეკვაო სალამო და სახალხო სეირნობიდან შემოვიდა—43 მან. და 60 კაპ.; სალამოდან—116 მან.; შედგა სულ—159 მან. და 60

კაპ. ხარჯ გარეთ; წმინდა შემოსული დარჩა—81 მან. და 70 კაპ.; სულ ზემოხსენებული შემოწირულება შეადგენს—1357 მან. და 4 კაპ.; ადრე იყო გამოცხადებული ამავე შენობისათვის შემოწირული ფული გაზეთ „ივერიაში“ (1894 წელს №№ 128 და 269 ში)—1660 მან. 40 კაპ.; დღემდის სულ შემოწირული ფულის ჯამი შეადგენს—3017 მან. და 14 კაპ.

1 სექტემბერს 1896 წელს.

ხონის საქალებო სკოლის დამაარსებელი
ივანე შარაშიძე.

—

„კვალი“-ს რედაქციას. ასკანის სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოთ 29 ივნისს ასკანისავე სკოლის დარბაზში ადგილობრივი სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენილ იქმნა „და-ძმა“. წარმოდგენამ შვენივრათ ჩაიარა, ხალხი ბლომათ დაესწრო, არა მარტო მახლობელ სოფლებიდან, არამედ თუთხმეტოცი ვერსის მანძილიდან მოვიდნენ. ხალხი დიდათ ნასიამოვნები ღამის ორ საათზე დაიშალა. ბილეთები გაიყიდა 55 მან. და 90 კაპ. ბ-ნმა გვგელაშვილმა გაგვიმართა თავისი ხარჯით ბენგალის ცეცხლი და შემოწირა კიდევ ოთხი მანეთი; სულ შემოვიდა 59 მან. და 90 კაპ.; დარჩა წმინდა შემოსავალი 45 მან., რომელიც გადიდო დანიშნულებისამებრ

უღულითადესს მადლობას ვუძღვნით ქ.ქ.-ბ-ნთ ველამპი წულაძისას, გალინე წულაძის ქალს, თ. გრ. გუკუნავას, ფ. მგელაძეს, აპ. წულაძეს, ბეს. დოლიძეს, პ. კალანდაძეს და სხვებს, წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის და დამსწრე პატივცემულ საზოგადოებას თანაგრძნობისათვის.

გამგე სოლომონ მჭედლიშვილი.

—

სოფელ მეჯვრისხევის სამკითხველოს გამგე კნ. ეკ. გ. ერისთავისა უღულითადეს მადლობას უცხადებს ქ-ნ. ელ. ა. ყაზბეგისას, რომელმაც ზემოხსენებულ სამკითხველოსთვის მოაგროვა 24 სხვა-და-სხვა ქართული წიგნები შემდეგ პირებისაგან შემოწირული: ი. კვალიევისაგან, ერ. გენძეხაძისაგან, მიტ. უშვერიძისაგან და სოლ. დვალიძისაგან.

—

კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურიან ორბელიანისას გამოუგზავნეს სოფ. აველევიდან 313 მ. კნიაჟნა მარია ალექ. ასულმა ამირეჯიბისამ, კნიაჟნა სოფიო გიორგის ასულმა ამირეჯიბისამ და კნ. დიმიტრი იოსების-ძე ვეზირიშვილმა შემდეგ სოფლების მცხოვრებლებში მოგროვილი მკათათვის 14 სადღმოს: აველევს, კნოლევს, ოქონას, ცეროვნის, თამარაშენს, ფცას, აბის, საცხიურს, აბანოს, ბრეძს, ატოცს, ფათქინეს, კოდას, ვაყას, ოსიაურს, მახათლოვს, სურამს, ცხრამუხას და ქვიშხეთს და ითხოვს, რომ ეს ფული ორათ განაწილდეს და გადაეცეს თბილისის და ქუთაისის გუბერნიის დიდი თოვლისაგან და წვიმებისაგან დაზარალებულთ შესაწევნათ გამართულ კომიტეტებს.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა


# განცხადება

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

## ი. ოცხელისა

(ქუთაისში)

გამართულია ვართოლომეევის სახლში დადიანის ქუჩაზე.

სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველ კლასებისათვის, საყმაწვილო ბაღი მიზნათ იღებს აღზარდოს ყმაწვილები 5—7 წლ. სამშობლო ენაზე, ფრებელის სისტემით.

სასწავლებელში ყმაწვილები მიიღებიან პირველ სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, ხოლო საყმაწვილო ბაღში ყოველ დროს მთელი წლის განმავლობაში. თვიური გადასახადი დანიშნულია სასწავლებელში 10 მან. და საყმაწვილო ბაღში 5 მან.

(4—3)

ქ. ქუთაისში

პირველი ენკენისთვიდან მთავრობის ნებართვით იხსნება

## საქალებო სკოლა,

რომელსაც მიზნათ აქვს მოამზადოს ბავშვები-ქალიშვილები 7-დან 10 წლამდე სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოსამზადებელი და პირველი კლასებისათვის.

თხოვნები მიიღება

ელენე მერაბის ასულის დორთქიფანიძის სახელზე, თბილისის ქუჩაზე ნ. დგებუაძის სახლში. სწავლების ფასი თვეში ხუთი მანეთია.

(3—3)


Доз. ценз. Тифлисъ, 28 Сентября 1896 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.